მშრომელთა მაგალითებრივ ყველა ძალებანი, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 28 (5428) | შაბათი, 4 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა მწერლების მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება—ამხანაგ სტალინს (1-ლი გვ.)

საქართველოს ბოლშევიკები ახალი გამარჯვებებით ეგებებიან XVIII ყრილობას (მოწვინავე)

ბრწყინვალე საწარმოო გამარჯვებებით შეეხვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას (1-ლი გვ.)

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკაში (მე-2 გვ.)

საბჭოთა ხალხის ნიჭიერი ინტელიგენცია („პრავდის“ მოწვინავე. მე-2 გვ.)

ფართოვდება მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეთა შეჯიბრება (მე-3 გვ.)

აკაკი წერეთელი რუსეთის მე-5 არქეოლოგიურ კონგრესზე (მე-3 გვ.).

გამოხმაურება საზღვარგარეთ ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებზე (მე-4 გვ.)

ესპანეთის კორტესების სხდომა (მე-4 გვ.).

გერმანიის პრესის გალაშქრება (მე-4 გვ.).

საბჭოთა მწერლების მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ვდღესასწაულობთ რა საბჭოთა მწერლების დაჯილდოების სასიხარულო დღეს, ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ბევრი მოგვეთხოვება, თუ რა ბევრი გვაქვს კიდევ გასაკეთებელი.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე კაცობრიობამ არ იცოდა ისეთი სახელმწიფო, რომელიც თანმიმდევრობით და განუხრელად შექმნილიყოს მეცნიერების საფუძველზე და რომლის სათავეშიაც მდგარიყვნენ მეცნიერების ადამიანები.

ასეთი სახელმწიფო ახლა უკვე შექმნილია. ეს სოციალიზმის სახელმწიფოა, რომელიც წარმოიშვა მეცნიერების ადამიანთა — მარქსისა და ენგელსის გენიალურ გონებაში. ამ სახელმწიფო შენობას საძირკველი ჩაუყარა მეცნიერმა ადამიანმა — ლენინმა. ეს სახელმწიფო შენობა ააგო მეცნიერმა ადამიანმა—სტალინმა.

ჩვენი სახელმწიფოს ორგანიზმში არ არის ისეთი მცირე ნაწილიც კი, რომელიც არ იყოს გამსჭვალული ამ ოთხი ადამიანის — ადამიანთა ახალი საზოგადოების შემქმნელთა ნათელი აზრით.

ჩვენი სახელმწიფოს შექმნაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე რუსულმა, უკრაინულმა, ქართულმა და სხვა მოძმე ხალხთა დიდმა ლიტერატურამ, რომელიც ყოველთვის მომავლისაკენ იყო მიმართული, მომავლისათვის ცხოვრობდნენ პუშკინი და გოგოლი, რუსთაველი და შევჩენკო, ტოლსტოი და სალტიკოვ-შედრინი, ლერმონტოვი და ჩეხოვი, ახუნდოვი და ხალბანდიანი. მომავალს შესწირეს მთელი თავისი სიცოცხლე ჩერნიშევსკიმ და ბელინსკიმ.

დიადია ის ჯილდო, რომლითაც აღნიშნა თავისი ლიტერატურა საბჭოთა ხალხმა. ჩვენ გვახსოვს, რომ საბჭოთა ორდენით დაჯილდოებული იყო ისეთი კაცი, როგორც მაქსიმ გორკი. მისი მაღალი იდეურობა, პრინციპულობა, ზნეობრივი სიწმინდე, მისი ტიტანური შრომისმოყვარეობა ჩვენთვის ყოველთვის მაგალითი იქნება.

ჩვენ გვსურს, ამხანაგო **სტალინ**, რომ თვითეული ჩვენი სტრიქონი დაეხმაროს იმ საქმეს, — კომუნიზმის საქმეს, რომელსაც თქვენ მიუძღვნით თქვენი სიცოცხლე.

კრიბის პრეზიდიუმი: ალიგერი, ზაიცევი, კარავაევა, ვ. კატაევი, იაკუბ კოლასი, კორნეიჩუკი, იანკა კუპალა, კრაპივა, ლებედევ-კუმაჩი, ლეონოვი, ლორთქიფანიძე, მარკიში, ი. ნოვიკოვი, პავლენკო, ტვარდოვსკი, ტოლსტოი, ტნერევი, ფადეევი, უსოლინი.

ბრწყინვალე საწარმოო გამარჯვებებით შეეხვდეთ ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობას

თბილისის შაუმიანის სახელობის ტრამვაის პარკის ამწყობი საამქროს ამხ. ჯუჯაიძის (მეორე მარჯვნიდან) კომკავშირული ბრიგადა, რომელმაც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით იღლო ვალდებულება კაპიტალური რემონტიდან გამოუშვას 2 ვაგონი.

საქდესის ფოტოქრონიკა

ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ცნობამ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღტყინება გამოიწვია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშებსა, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შორის. ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა — სტახანოველებმა, ჩაებნენ რა წინასაყრილობო შეჯიბრებაში, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი — შეხვდნენ პარტიის ყრილობას ახალი საწარმოო საჩუქრებით.

ასრულებს რა თავის ვალდებულებებს, საშრეგრო-სააპრეტურო საამქროს სტახანოველმა მჩითავმა ვ. ბერიძემ 1 თებერვალს გამოიმუშავა 93 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, რითაც დღიური გეგმა 197 პროცენტით შეასრულა. მქსოველმა თამარ გოგოლაშვილმა, რომელიც 4 საქსოვ დაზგაზე მუშაობს, გეგმა 116,5 პროცენტით შეასრულა. დღიური პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე მქსოველმა სტახანოველებმა მარკოზაშვილმა, სიდენკომ, მქსელავებმა გორძიენკომ, ზაპოლსკაიამ და მრავალმა სხვამ.

2 თებერვალს სასადილო დასვენების დროს ფაბრიკის ყველა საამქროში დაიწყო ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების კითხვა. თეზისების კითხვამ გამოიწვია ფაბრიკის კოლექტივის პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის ახალი ტალღა. (საქდესი).

ახალი ვალდებულება იკისრეს

(ბორი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ცნობამ პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ბორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა შორის. მტს-მა დაწესებულ ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა, კაპიტალურად შეკეთდა 27 ტრაქტორი, მიმდინარეც (მოტორების მთლიანი დაშლით) 52 ტრაქტორი.

სერემონტო ბრიგადებს შორის ვანსაკუთრებით წინ მიდის არჩილ ნანეტაშვილის ბრიგადა. ამ ბრიგადაში მუშაობენ საუკეთესო სტახანოველი ტრაქტორისტები ჩხიკვაძე, ბუზიაშვილი, პეჩიშვილი და სხვ. ნანეტაშვილის ბრიგადამ აიღო ვალდებულება — პარტიის XVIII ყრილობის გახსნის დღისათვის დაამთავროს საადრეო ხვნის გეგმა.

ს. ჟურაშვილი

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ბათუმის ფაბრიკა - ქარხნებში, რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის საწარმოებში მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას 10 მარტს პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სავაგონო დეპოს სტახანოველმა ბრიგადირებმა ამხ. ფირცხალაშვილმა და სამანიშვილმა, რომლებმაც სატვირთო ვაგონების შეკეთების იანვრის გეგმა 23 იანვრისათვის შეასრულეს, იკისრეს ახალი ვალდებულება პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შეასრულონ 10 მარტამდე. მათი წინადადების საფუძველზე მთელი საწარმოს კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი.

სამკერავლო ფაბრიკაში სტახანოველმა მუშებმა აიღეს ვალდებულება გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ვადაზე ადრე შეასრულონ თებერვლის საწარმოო გეგმა.

ბათუმის ნავთსახდელი და მანქანათმშენებელი ქარხნების, მთავარნავთის ბათუმის ბაზის, საორთქლმავლო დეპოს, ნავსადგურის მექანიკური სახელოსნოს და სხვა საწარმოთა მუშებმა აიღეს ახალი საწარმოო ვალდებულებები, რომელთა შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

კ. დოგოლაჯგინიძე

რუსთაველის თეატრი მე-18 პარტყრილობისათვის

3 თებერვალს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში პარტიულ ღიაკრებაზე აქტივთან ერთად წაკითხულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ვ. მოლოტოვისა და ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

თეზისების კითხვამ თეატრის მთელი კოლექტივის დიდი ინტერესი და საწარმოო - პოლიტიკური აქტივობის აღმავლობა გამოიწვია.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა აკ. ვასაძემ შემოიტანა წინადადება, რომ თეატრმა ყრილობის დასასრულის დღისათვის მოამზადოს დასადგმელად ს. მთვარაძის პიესა — „მთაგრეხილზე“.

თეატრის კოლექტივმა ერთსულოვნად მიიღო ამხ. ვასაძის წინადადება. სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ განსაკუთრებული ენერგიით იმუშავებენ ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

პიესის დადგმა დაევალა რეჟისორ დ. ალექსიძეს. (საქდესი).

ვადამდე ავამუშავებთ ურალის საჯურბინო გიგანტს

სვერდლოვსკი, 2 თებერვალი (საქდესი). სვერდლოვსკის იმ ახალმშენებლობებზე, რომლებიც მესამე ხუთწლედში უნდა ამუშავდეს, ეწყობა მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების ხალხმრავალი მიტინგები და კრებები; მშრომელნი უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან ვ. მ. მოლოტოვის მიერ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე გასაკეთებელი მოხსენების თეზისებს.

„ტურბოელმაშსტროის“ კოლექტივი კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში აცხადებს:

— პარტიის XVIII ყრილობის აღსანიშნავად ჩვენ, მშენებლობის მუშები და მეთაურები ვკისრულობთ ვალდებულებას ვადამდე ავამუშაოთ ურალის სატურბინო გიგანტი.

ჩვენი საუკეთესო სტახანოველები მუშაობის მაღალ ნიმუშებს იძლევიან. ამხ. სკვორცოვის მებეტონეთა ბრიგადამ ბეტონის წყობა 3,6 კუბურ მეტრამდე აიყვანა კაცზე ერთ ცვლაში. (ნორმა 1,43 კუბური მეტრია). ამხ. ხაბულინის ბრიგადაში თვითეული მიწისმთხრელი ცვლაში 2,33 კუბურ მეტრ მიწას იღებს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1,32 კუბური მეტრისა კაცზე. ამხ. გორშკოვის ხუროთა ბრიგადა სისტემატურად 2-3-ჯერ გადამეტებით ასრულებს გეგმას.

საჩუქრები პარტიის XVIII ყრილობას

ალგულალი, 3 თებერვალი (საქდესი). საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ რაიონის მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებისადმი მიძღვნილ ხალხმრავალ მიტინგებზე მშრომელები კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს, რომ ახალი გამარჯვებებით — საჩუქრებით მიეგებებიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას.

დიდი აღფრთოვანებით და ენტუზიაზმით ჩატარდა მიტინგი ასურეთის მტს-ში.

— „ჩემი საჩუქარი ჩვენი პარტიის XVIII ყრილობისათვის, — ამბობს მტს-ის სარემონტო სახელოსნოს გამგე შოთა კახაია,—ის იქნება, რომ ვადამდე და მაღალი ხარისხით შევასრულებ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტს“.

— „ყრილობისათვის მზადების დღეები, — ამბობს ტრაქტორისტი სოლიკო დალაქიშვილი, — საწარმოო აქტივობის სასწაულების დღეებად უნდა გადაიქცეს, რათა უფრო მეტი და უკეთესი პროდუქცია გამოვუშვათ ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის სადიდებლად“. ამხ. დალაქიშვილმა იკისრა, რომ ვადამდე და მაღალი ხარისხით შეაკეთებს თავის ტრაქტორს „ჩტზ“ და გაზაფხულზე, გეგმით გათვალისწინებული 700 ჰექტარის ნაცვლად, 1020 ჰექტარს მოხნავს და თანაც 4,5 ტონა საწვავ მასალას დაზოგავს.

ჩაება რა მტს-თა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების წინასაყრილობო შეჯიბრებაში ყრილობისათვის თავისი გამარჯვებების შესახებ პატაკობის უფლების მოსაპოვებლად, ასურეთის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა, რომ ვადამდე შეასრულებს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეკეთების გეგმას, სამაგალითოდ დააყენებს შრომის დისციპლინას, და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლუქსემბურგის მტს.

ვიბრძოლებთ პირველობისათვის

მე-48 საშუალო სკოლის (ლენინის რაიონი) მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებას 10 მარტისათვის საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის XVIII ყრილობის გამარჯვებებით შესახვედრად მასწავლებლებმა სიხარულით აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი: სკოლის დირექტორმა ამხ. ი. ბულეიშვილმა და სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ლ. შატბერაშვილმა იკისრეს მასწავლებელთა მთელ კოლექტივთან კოლეგიალური მუშაობის გაძლიერებით სკოლას შეუნარჩუნონ პირველობა ლენრაიონში და მეორე ადგილი თბილისში. მათვე იკისრეს ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენა, მეთოდური მუშაობის გაძლიერება და შეგნებული დისციპლინის დანერგვა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის.

რუსული ენის მასწავლებლებმა ქართულ კლასებში დ. გამრეკელმა, ალ. კაკაბაძემ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა რუსულ კლასებში—ალ. გუჯაბიძემ და მ. მეტრეველმა აიღეს ვალდებულება მესამე მეოთხედში ენერგიული მუშაობის შედეგად მიაღწიონ 100-პროცენტიან წარმატებებს.

ასევე აიღეს ვალდებულებანი სკოლის სხვა მასწავლებლებმაც—შ. გაბადაძემ, აკ. გიორგობიანმა, გერგაიამ, ინაშვილმა და სხვებმა.

ა. გუჯაბიძე

ბათუმის მანქანათმშენებელთა ვალდებულებანი

ბათუმი, (საქდესი). ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში ფართოდ გაიშალა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება.

საზეინკლო საამქროს ბრიგადირმა ამხ. კარაკოზოვმა იკისრა ვალდებულება, რომ პირველი კვარტალის გეგმას 110 პროცენტით შეასრულებს 10 მარტამდე. თავისი ბრიგადის სახელით მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამჭედლო-საქვაბე საამქროს კოლექტივი.

ჩამომსხმელი საამქროს უფროსმა ამხ. სვანიძემ ვალდებულება იკისრა სპილენძის ჩამოსხმის პირველი კვარტალის გეგმა 120 პროცენტით შეასრულოს ყრილობის გახსნის დღისათვის.

ქარხნის მთელმა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 10 მარტისათვის მაღალხარისხოვნად შეასრულოს პირველი კვარტალის გეგმა და ჩვენს ქვეყანას მისცეს მაცივრების, ჩაის, ღვინის მრეწველობის ახალი რთული მანქანები.

მიღებულია გადაწყვეტილება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი, რათა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევამდე დარჩენილ დღეებში მიღებულ იქნას მუშაობის უმაღლესი მაჩვენებლები.

„საქართველოს ბარიტმა“ იანვრის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა

ქუთაისი, 3 თებერვალი (საქდესი). ბარიტის წარმოებამ, რომელიც წინათ მკვეთრად ჩამორჩებოდა გეგმის შესრულების მხრივ, დიდს საწარმოო გამარჯვებას მიაღწია იანვარში. თვიური გეგმა საერთო პროდუქციის ხაზით (ფასეულობითი გამოხატულებით) „საქბარიტის“ კოლექტივმა 115 პროცენტით შეასრულა. თვის განმავლობაში ამოღებულია 2132 ტონა ბარიტი, ნაცვლად 1700 ტონისა, გაუხვევია 1600 ტონა (გეგმა იყო 1200 ტონა) და დაფქვილია 652 ტონა ბარიტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ტონისა.

„საქბარიტის“ მუშები უდიდესი აღფრთოვანებით ებმებიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის შეჯიბრებაში და ვალდებულებას კისრულობენ, რომ ახალ საწარმოო გამარჯვებებს მოიპოვებენ.

მიზანი საქართველოს კინოსტუდიაში

საბჭოთა კინემატოგრაფიის მოწინავე მუშაკების დაჯილდოებას უსაზღვრო აღტაცებით შეხვდა თბილისის კინოსტუდიის კოლექტივი. ფუშინდელმა გაზეთებმა აუწყეს კინემატოგრაფიის მუშაკებს ეს სასიხარულო ამბავი, რომლით აღფრთოვანებულნი დღის 4 საათზე შეიკრიბნენ ისინი კინოსტუდიის ატელიეში მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კინოსტუდიის დირექტორი ამხ. ა. გიგოშვილი. აგრეთვე სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა ჯავშირის ორდენებით დაჯილდოებული კინომუშაკები: ი. პერესტიანი, ა. დიმელოვი, ზ. ვახტანგიშვილი. მ. ცაგარელი, ე. გაბრიელი, კ. მიუფეე, შ. მამალაძე, ა. მელიქიშვილი.

— განუზომელ ბედნიერებას მოვესწარი ამ სიბერის ჟამს,—ამობრა საქართველოს კინემატოგრაფიის პიონერი ი. პერესტიანი. — ხალხისა და მთავრობის ამ დიდმა ნდობამ გამაახალგაზრდავა, ახალი ენერგია შემმატა. კიდევ უფრო დიდი ენერგიით მოვეკიდები საქმეს, რათა ჩვენმა კინემატოგრაფიამ უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვოს.

— უსაზღვრო სიხარულით ვარ შეპყრობილი ჩემი და ჩემი მეგობრების დაჯილდოვების გამო. მადლობა ჩვენი შემოქმედების შთაგონების დაუშრეტელ წყაროს, ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს, — ამობრა კინოსტუდიის გრიმიორი ზ. ვახტანგიშვილი.

— სიტყვები არ მყოფნის უსაზღვრო აღტაცების გრძნობის გამოსათქმელად. მხოლოდ დიად საბჭოთა სამშობლოში, მხოლოდ სტალინის გენიით გამბარ ქვეყანაშია შესაძლებელი ხელოვნებისა და სხვა დარგის მუშაკთა ისეთი დაფასება, როგორსაც ჩვენ ვეღირსეთ.

გაუმარჯოს ბრძენ სტალინს, გაუმარჯოს საქართველოს კინემატოგრაფიის სულისჩამდგმელს ლ. პ. ბერიას,—ამთავრებენ თავის აღტაცებულ სიტყვებს ორდენებით დაჯილდოებულნი.

ორდენებით დაჯილდოებულ კინომუშაკებს მიესალმნენ ორდენოსანი კინომსახიობი ს. ბაღაშვილი, ამხ. ბოგდანოვი, მამულაიშვილი, დოლათბეგოვი, ტერიეევი. სომხეთის კინოსტუდიის სახელით ორდენოსნებს მიესალმა რეჟისორი ამხ. ბარხუდარიანი.

მიტინგმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ ლ. პ. ბერიას, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს და საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ვ. ბაქრაძეს.

ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ბათუმის ფაბრიკა - ქარხნებში, რკინიგზის და წყლის ტრანსპორტის საწარმოებში მუშა-მოსამსახურეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას 10 მარტს პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

სავაგონო დეპოს სტახანოველმა ბრიგადირებმა ამხ. ფირცხალაშვილმა და სამანიშვილმა, რომლებმაც სატვირთო ვაგონების შეკეთების იანვრის გეგმა 23 იანვრისათვის შეასრულეს, იკისრეს ახალი ვალდებულება პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შეასრულონ 10 მარტამდე. მათი წინადადების საფუძველზე მთელი საწარმოს კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი.

სამკერავლო ფაბრიკაში სტახანოველმა მუშებმა აიღეს ვალდებულება გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და ვადაზე ადრე შეასრულონ თებერვლის საწარმოო გეგმა.

ბათუმის ნავთსახდელი და მანქანათმშენებელი ქარხნების, მთავარნავთის ბათუმის ბაზის, საორთქლმავლო დეპოს, ნავსადგურის მექანიკური სახელოსნოს და სხვა საწარმოთა მუშებმა აიღეს ახალი საწარმოო ვალდებულებები, რომელთა შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

კ. დოგოლაჯგინიძე

საქართველოს ალკკ ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქ. ალკკ XIV ყრილობა გაიხსნება 7 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის კლუბის შენობაში, ბესიკის ქუჩა № 4.

ყრილობის დღის წესრიგი

1. საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში
3. საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტის არჩევნები
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მირცხულავა

ყრილობის დელეგატებს მანდატები მიეცემათ 5 და 6 თებერვალს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე და 7 თებერვალს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტის შენობაში, ძერჟინსკის ქუჩა № 8, ტელეფონები — —3—09—47, 3—07—22.

ამხ. კ. ე. ვოროშილოვი მ. ი. კალინინის სახელობის № 8 ქარხანაში

2 თებერვალს მ. ი. კალინინის სახელობის № 8 ქარხანას ეწვივნენ თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხანაგი **კ. ე. ვოროშილოვი,** შეიარაღების სახალხო კომისარი ამხ. **ბ. ლ. ვანიკოვი** და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. **გ. ი. კულიკი.** რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი ათვალიერებდნენ ქარხანას, საამქროებში ეცნობოდნენ ცალკეული უბნებისა და წარმოების მოწინავეთა მუშაობას.

გამოთხოვებისას ამხ. ვოროშილოვმა ქარხნის კოლექტივს უსურვა მიაღწიონ ახალ წარმატებებს 1939 წელს. (საკდესი).

საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკაში

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება ჩეჩნეთ-ინგუშეთის მშრომელებისადმი

ჩეჩნეთ - ინგუშეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით (ა. წ. 4 თებერვალს) რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დეპეშაში პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. ბადაევის და პრეზიდიუმის მდივნის ამხ. კოზლოვის ხელმოწერით მხურვალე მცურ სალამს უძღვნის რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელს.

დეპეშაში ნათქვამია: „ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხმა რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით და ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ მოუღო ბოლო ნაციონალურ ჩაგვრას და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და უდიდეს წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში: ხელახლა შექმნილია მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული ნავთის მრეწველობა, აგებულია ახალი ფაბრიკები, ქარხნები, სკოლები, საავადმყოფოები, უმაღლესი სასწავლებლები; გაიზარდა მუშათა კლასი და საკოლმეურნეო გლეხობა, გაიზარდა საკუთარი ნაციონალური ინტელიგენცია.

ეს უდიდესი წარმატება მოპოვებულია ჩეჩნეთ - ინგუშეთის ასსრ მშრომელთა მიერ შეუპოვარი ბრძოლით ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, ტროცკისტ - ბუხარინელ ჯაშუშებთან და დივერსანტებთან, რომლებიც ცდილობდნენ კვლავ კაპიტალიზმის უღელი დაედგათ თავისუფალ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ხალხის კისერზე.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მშრომელებს მომავალშიაც მაღლა ეჭირავთ ხელში ლენინ-სტალინის დროშა სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ზრდისათვის. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისა და კომუნიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში“.

თბილისი. ბრმავალი მებრძოლები სტალინის რაიონის გასაწვევ პუნქტში ეცნობიან ფიცის ტექსტს (კითხულობს ამხ. ჩიჩუა). საკდესის ფოტოქრონიკა

1920 წელში დაბადებულთა მიწერა გასაწვევ პუნქტებზე

პირველი დღე

ლანჩხუთი (ხაკ. კორ.). 28 იანვარს დილით ლანჩხუთის მისაწერი პუნქტი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა 1920 წელში დაბადებულთა მიწერას. 9 საათსა და 40 წუთზე ქალაქის საბჭოს წევრებმა მუშა-მოსამსახურეებთან და მოწაფეებთან ერთად მწყობრად, მუსიკითა და მომღერალთა გუნდით მისაწერ პუნქტს ესტუმრნენ.

წვევამდელთა სახელდახელო მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა მისაწერი პუნქტის უფროსმა, პოლიტხელმა ამხ. წერეთელმა. წვევამდელებს მიესალმა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. ორაგველიძე. 1920 წელში დაბადებულებმა მ. ვადაჭკორიამ და ტ. ხოფერიამ თავიანთ სიტყვებში სიხარულით განაცხადეს — ჩვენ გულდასმით შევისწავლით წითელი არმიის რთულ და მოწინავე ტექნიკას და სოციალიზმის დიდებული შენობის დასაცავად სიცოცხლესაც არ დავიშურებთ.

მისაწერ პუნქტსა და მის შესასვლელს ამშვენებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ლოზუნგები და დროშები. წვევამდელებთან ტარდება საუბრები პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებზე და საერთაშორისო საკითხებზე, რისთვისაც გამოყოფილია 5 კვალიფიციური პროპაგანდისტი.

წვევამდელთა კულტურული მომსახურებისათვის მოწყობილია კლუბი და ბიბლიოთეკა. ტარდება კონცერტები. 28 იანვარს ლანჩხუთის, ლაშისღელის და მაჩხვარეთის წვევამდელებს კონცერტი გაუმართავ ლანჩხუთის მომღერალთა გუნდმა ივ. ჩხაიძის ხელმძღვანელობით. კარგადაა მოწყობილი სასადილო და სავაჭრო წერტი. ყოველდღიურად გამოდის კედლის გაზეთი. პუნქტზე მოწყობილია წვევამდელთა შეჯიბრება სროლაში.

ა. ლომაძე

ნვევამდელთა მიწერა უბნებზე

(სიღნაღი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

23 იანვარს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს 1920 წელში დაბადებულთა გასაწვევ უბანზე მიწერა. წვევამდელთა მისაწერი პუნქტი სანიმუშოდ არის მორთული. სარაიონო კლუბი წვევამდელებს კულტურულ მომსახურებას უწევს. აქვთ ჭადრაკი, ნარდი, უკრავს სამეგობიანი ორკესტრი და სხვ.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა რაიმიწგანმა. გასაწვევ უბანთან წვევამდელთათვის მოაწყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა. აქ არის მშვენიერი ექსპონატები: თამბაქო, მატყლი, ხორბალი და სხვ. აქვე რაიმიწგანის აგრონტექნიკოსი ამხ. ლ. დარჩაიშვილი ატარებს საუბრებს აგრონტექნიკის საკითხებზე.

რაიკოოპკავშირმა მოაწყო სასაუზმე და კოოპერატიული სავაჭრო წერტი. რაიონის საკოლმეურნეო თეატრის მსახიობები წვევამდელებს სამხედრო კომისიის მიერ შემოწმებამდე უკითხავენ ლექსებს და ნაწყვეტებს პოემებიდან.

სტალინის რაიონში

1920 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მიწერისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა კარგად ჩაატარა თბილისის სტალინის რაიონის სამხედრო კომისარიატმა.

სახლთმმართველობებს მიეცათ ინსტრუქტაჟი, საჭირო ფორმები და ინსტრუქციები მისაწერ ადგილზე წვევამდელების დანიშნულ დროზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად. მისაწერი პუნქტი მხატვრულად არის გაფორმებული. მხატვარმა კროტკოვმა კომისარიატს საჩუქრის სახით გადასცა 6 სურათი სამხედრო თემებზე.

კარგად არის მოწყობილი ჯანმრთელობის კუთხე. გამოყოფილია ექიმი ამხ. აკოფოვი, რომელიც წვევამდელებთან ყოველდღიურად ატარებს საუბრებს. კარგად არ არის მოწყობილი ლენინის ოთახი. თბილისის სტალინის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. მშველიძემ ვერ უზრუნველჰყო მისი მოწყობა. თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ალ. ჭორჭაშვილმა დღემდე კარგად ვერ მოაწყო სამხედრო კუთხე. წვევამდელთა შორის სისტემატურად არ ატარებს საუბრებს.

მისაწერ პუნქტში წვევამდელების გამოცხადება დაიწყო 25 იანვრიდან. ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის, კალინინის და სპილენძის ქარხნების და მაუდის ფაბრიკის მუშა ახალგაზრდობა ორგანიზებულად ცხადდებოდა მისაწერ პუნქტში.

წვევამდელები ისმენენ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხებზე. პროპაგანდისტმა ამხ. ვ. ავაქიანმა მათ წაუკითხა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. პროპაგანდისტები უზრუნველყოფილი არიან პროგრამებითა და ლიტერატურით.

წვევამდელთა შორის წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა რაოდენობა ძალიან მცირეა. საექიმო კომისიის მუშაობამ ცხადჰყო, რომ ახალგაზრდობა სავსებით ჯანსაღია და ბრძოლისუნარიანი.

ჯ. კახიძე

ს. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის გამოშვება

2 თებერვალს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში შესდგა სამხედრო პედაგოგიური ფაკულტეტის მსმენელთა საზეიმო გამოშვება.

გამოშვებულთა შორის მრავალი ფრიადოსანია. წარჩინების დიპლომები მიიღეს ამხ. ზახაროვმა, კოზირევმა, მალკოვმა, ტიშუროვმა და კაზიმირჩიკმა, რომელთაც მთელი სწავლის განმავლობაში ჰქონდათ არანაკლებ 75 პროცენტი ფრიადი შეფასება ყველა დისციპლინაში.

საღამოზე წაიკითხეს თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მისალმება.

შეტრებილებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგებს **სტალინსა** და **ვოროშილოვს.** (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. **პ. ვ. სმირნოვი** და წევრები: ამხ. **ი. ა. კუზნინიხი** —სახალხო კომისრის მოადგილე, **ვ. ა. ვლადოვი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ვ. ვ. კოსტიგოვი**— სახალხო კომისრის მოადგილე, **ვ. ი. კოკორევი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ვ. ი. მაზიაკინი, ბ. ს. ფირსანოვი, მ. რ. ლინეცკი, ს. ა. კოჩეტკოვი** და **ვ. ვ. ვორობიოვი.** (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. **ა. ნ. კოსიგინი,** წევრები: ამხ. **ი. ნ. აკიმოვი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ა. ვ. ბრუშინი**—სახალხო კომისრის მოადგილე, **დ. მ. ხაზანი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **გ. ა. მალიავინი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **გ. გ. ევდოკიმოვი, ს. მ. სკულანოვი, ა. ი. უშაკოვი** და **ლ. გ. ევსეევა.** (საკდესი).

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. **ს. გ. ლუკინი** და წევრები: ამხ. **ნ. ს. სმეტანინი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ფ. დ. მურავიოვი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ვ. ი. სარაევა**—სახალხო კომისრის მოადგილე, **ლ. ნ. ბიბიკოვი** —სახალხო კომისრის მოადგილე, **ი. მ. მედვედევი** და **ს. ი. მამენკოვი.**

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სახალხო კომისარი ამხ. **ა. ნ. კოსიგინი,** წევრები: ამხ. **ი. ნ. აკიმოვი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **ა. ვ. ბრუშინი**—სახალხო კომისრის მოადგილე, **დ. მ. ხაზანი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **გ. ა. მალიავინი** — სახალხო კომისრის მოადგილე, **გ. გ. ევდოკიმოვი, ს. მ. სკულანოვი, ა. ი. უშაკოვი** და **ლ. გ. ევსეევა.** (საკდესი).

ვ. ვ. ჩკალოვის ქანდაკება-პორტრეტი

მოქანდაკე ლებედევა ამჟამად მუშაობს საბჭოთა კავშირის გმირ ვ. პ. ჩკალოვის ახალ ქანდაკება-პორტრეტზე. იგი ბრინჯაოსგან აკეთებს დიდი მფრინავის პორტრეტს ერევნის სახვით ხელოვნებათა მუზეუმისათვის.

ეს პორტრეტი, რომელიც დიდი მსგავსებითა და გამომეტყველებით განირჩევა, მოქანდაკემ რამდენიმე წლის წინათ შეჰქმნა. იგი ძერწავდა ვ. პ. ჩკალოვს ნატურით სწორედ მას შემდეგ, როდესაც მამაცი ეკიპაჟი გადაფრინდა სტალინური მარშრუტით მოსკოვი — კამჩატკის პეტროპავლოვსკი.

ამ უახლოეს ხანში ს. დ. ლებედევა აპირებს დაიწყოს მუშაობა ვ. პ. ჩკალოვის ძეგლის პროექტზე მოსკოვისათვის.

სასამართლო

მეჩრის თავდასხმა

2 თებერვალს მოსკოვის კალინინის სახელობის ქარხანაში მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალი ღია სასამართლო სხდომაზე განაგრძობდა მოსკოვის „მოსპლასტკოეის“ № 2 ქარხნის ყოფილი ზინკლის ს. ვ. მოროზოვის საქმის გარჩევას.

მოწმეებად დაკითხულმა დარაჯმა ფილომონოვმა, მექანიკოსმა სიჩევმა, ქარხნის სადარაჯო რაზმის უფროსმა სტრუკოვმა და სხვებმა ბრალდებული დაახასიათეს, როგორც წარმოების ბოროტგამზრახველი დეზორგანიზატორი, ცულლუტი, გაუსწორებელი ხულიგანი. წამგლეჯი. მოწმეებმა აჩვენეს, რომ მოროზოვი. მაშინაც კი ამუქრებოდა ანგარიშის გასწორებით, როდესაც ცდილობდნენ მის შეკავებას და მილიციაში წაყვანას.

სასამართლო სხდომაზე წაკითხულ იქნა ჩვენება ამხ. გრიგორიევისა, რომელიც მოკლეებულია შესაძლებლობას მოვიდეს სასამართლოს დარბაზში. ეს ჩვენება მოწმობს, რომ მოროზოვი გრიგორიევს მოკვლას ემუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას წარმოებიდან დაითხოვდნენ.

სასამართლომ გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ მოროზოვი გასამართლებული ყოფილა არა მარტო ხულიგნობისათვის, არამედ ქურდობისა და სხვა დანაშაულისთვისაც.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო ბრალმდებელმა, მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორმა, ბრიგადის სამხედრო იურისტმა ამხ. დეევმა.

— მთელი ხალხი,—სთქვა მან,— აღშფოთებულია ბრალდებულის მტრული მოქმედებით, რაც მიმართულია სოციალისტური შრომის წინააღმდეგ, პატიოსანი საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის იბრძვიან.

მოროზოვმა ჩაიდინა ტერორისტული აქტი, რათა შური ეძია დაწინაურებულ სტახანოველ ამხ. გრიგორიევზე იმისათვის, რომ ის მტკიცედ ატარებდა ცხოვრებაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას შრომის დისციპლინის შოწესრიგების შესახებ. ამხ. დეევმა მოითხოვა ბრალდებულისათვის სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა. შემდეგ გამოვიდა ბრალდებულის დამცველი ამხ. ჩერკასოვი.

საღამოს 9 საათსა და 20 წუთზე სამხედრო ტრიბუნალი სათათბიროდ გავიდა.

გვიან საღამოს გამოტანილ იქნა განაჩენი. მოროზოვს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა. (საკდესი).

ფრაქციორების რემონტი

საქმიწსახკომის 1 თებერვლის ცნობებით

ძტს-ები და მათი დირექტორები	შეკეთების ვადა	შეკეთებულია ფაქტიურად	წლიური ვადის შესრულება პროცენტით	კაპიტალურად შეკეთების ვადის შესრულება პროც.	მიმდინარე რემონტის (მიტრირების) ვადის შესრულება პროც.
ახალქალაქის—გ. სიმონიანი	40	44	110	111,1	109,1
ბოგდანოვკის—სტ. კრასნიკოვი	33	31	93,9	92,9	94,7
ახალციხის—გ. აივაზოვი	26	26	100	100	100
ადიგენის—ამ. ნახაპეტოვი	8	8	100	—	100
აგარის—ალ. მიქაძე	63	65	103,2	100	104,8
ოსიაურის—კ. კუცია	51	41	80,4	50	89,7
გორის—ერ. მუკანიანი	78	79	101,3	103,8	100
კასპის—პ. ვარძელაშვილი	27	36	133,3	112,5	142,1
ახალოფლის—კ. აბალაკი	58	59	101,7	100	102,7
სტალინირის—შ. ალბოროვი	24	16	66,7	63,6	69,2
წეროვნის—კ. ქაჯაია	38	38	100	92,3	104
თბილისის—ალ. მდივნიშვილი	61	33	54,1	47,4	57,1
დუშეთის—ივ. კარიაული	17	14	82,4	75	88,9
საგარეჯოს—ალ. ქემოკლიძე	45	46	102,2	94,4	107,4
ბორჩალოს—მიხ. მაისურაძე	45	46	102,2	81,5	133,3
სადახლოს—პ. მამედოვი	31	27	87,1	45,5	110
ლუწსემბურგის—ვ. ბელქანია	33	39	118,2	100	130
ყარაიის—ნ. გონგაძე	35	36	102,9	100	103,6
გურჯაანის—ივ. ბარბაქაძე	46	30	65,2	87,5	53,3
კაჩრეთის—ალ. მეტრეველი	20	18	90	100	88,2
ულიანოვკის—მიხ. ალავერდაშვილი	40	41	102,5	105,7	100
წნორის—ივ. ფეიქრიშვილი	62	60	96,8	96	97,3
წითელწყაროს—მიხ. ერისთავი	50	50	100	100	100
ალაზნის—გ. ასატაროვი	50	38	76	77,3	75
თელავის—ივ. მასარობლიძე	51	38	74,5	57,1	81,1
ყვარლის—ვ. ტალასაძე	43	49	114	87	145
ლაგოდეხის—სერ. გულკოვი	43	43	100	100	100
ასურეთის—ერ. ვანიევი	28	28	100	90,9	105,9
ბაშკიჩეთის—გ. ოვანოვი	28	24	85,7	83,3	86,4
თიანეთის—კ. ჭინჭარაული	16	16	100	100	100
წალკის—ა. აგაიანი	30	31	103,3	80	115
ქუთაისის—ე. ნემსიწვერიძე	23	20	87	60	94,4
სამტრედიის—კონ. გაბედავა	8	8	100	100	100
წულუკიძის— ნიკ. ხეიჩი	16	15	93,8	83,3	100
ვანის—მიხ. ცქიფურაშვილი	20	15	75	66,7	78,6
ზესტაფონის—შალ. ბარბაქაძე	13	13	100	100	100
ობაშის—ალ. წულაია	19	19	100	100	100
ცხაკაიის—ხარ. მაქაცარია	15	14	93,3	100	91,7
გეგეჭკორის—ვლ. მიქაძე	10	9	90	100	83,3
ხუდადიის—ვლ. ჩიქავა	16	14	87,5	75	91,7
ხობის—კონ. ჩემინავა	20	22	110	100	114,3
წალენჯიხის—მ. კვარაცხელია	5	6	120	—	120
მახარაძის—ერ. გოგრონიძე	14	14	100	100	100
ლანჩხუთის—ნიკ. ლაღაძე	8	8	100	100	100
გალის—მ. ხვიტია	8	6	75	75	75
ოჩამჩირის—პორ. აბლოტია	17	11	64,7	42,9	80
სოხუმის—გრ. კოტრიკაძე	8	6	75	100	60
გუდაუთის—ე. აბლოტია	3	1	33,3	0	50
სულ	1443	1351	93,6	87,2	97,1

○

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ოსიაურისა და სადახლოს მტს-ების შესახებ ცხრილში შეტანილია 20 იანვრის მაჩვენებლები სტალინირის, ალაზნის, ბაშკიჩეთის, გალისა და ოჩამჩირის მტს-ებისა კი — 25 იანვრის.

გუდაუთის მტს-ში 10 იანვრის შემდეგ არ შეუკეთებიათ არცერთი ტრაქტორი, — შესაკეთებელია 2 ტრაქტორი (ერთი კაპიტალურად და მეორე კი — მიმდინარე რემონტით).

საბჭოთა ხალხის ნიჭიერი ინტელიგენცია

საბჭოთა ინტელიგენცია მთელი თავისი ფესვებით დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან, მთელ მშრომელ ხალხთან.

„საბჭოთა ინტელიგენცია — გუშინდელი მუშები და გლეხები, მუშებისა და გლეხების შვილები არიან, რომლებიც ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ. საბჭოთა ინტელიგენცია ემსახურება არა კაპიტალიზმს, როგორც ძველი ინტელიგენცია, არამედ სოციალიზმს და სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრია“ (საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების თეზისებიდან).

საბჭოთა ინტელიგენციის შრომა საამურია და ნაყოფიერი. საამოკულტურული განძების შექმნა, როდესაც იცი, რომ ისინი მთელი ხალხის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული. ნაყოფიერია მუშაობა ჩვენი სამშობლოს მზის ქვეშ საყოველთაო ყურადღების, გულთბილობისა და მხარდაჭერის პირობებში.

1 თებერვალს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო წარმატებებისა და მიღწევებისათვის 172 საბჭოთა მწერლის დაჯილდოების შესახებ. 2 თებერვალს გამოქვეყნდა ბრძანებულება კინემატოგრაფიის 139 მუშაკის დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი. ეს მაღალი შეფასება კიდევ ერთერთი ნათელი დადასტურებაა იმ განსაკუთრებული ყურადღებისა, რომელსაც საბჭოთა ინტელიგენციას უთმობენ პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ადამიანის ნიჭი და უნარი, მთელი ჩვენი საზოგადოების ყურადღებითა და მზრუნველობით გამთბარი, იზრდება და ვითარდება. თვითეული წარმატება ღირსეულად აღინიშნება, თვითეულ გამარჯვებას, მოპოვებულს ცხოვრების ყველ დარგში, სიხარულით იზიარებს მთელი ხალხი.

საბჭოთა ხელოვნების ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არა მარტო ემსახურება ხალხს, არამედ ხალხთან ათასი ძაფებით არის დაკავშირებული. საბჭოთა ხალხის საყვარელი ნაწარმოებები, რომელნიც ეკუთვნიან თანამედროვე მწერლებისა და კლასიკოსი მწერლების კალამს, იყიდება გრანდიოზული, არასდ ნახული, მილიონიანი ტირაჟებით. მხატვრული წიგნი—საბჭოთა მუშისა და საბჭოთა გლეხის ყოველდღიურობის აუცილებელი საგანია. ისეთი მწერლების სახელები, როგორიც არიან მიხეილ შოლოხოვი, ალექსეი ტოლსტოი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი, ალექსანდრე ფადეევი, ცნობილია მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხისათვის, ცნობილია შორს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს იქით.

დიდი გოეთე თავის დროზე ამბობდა: „ვისაც იმედი არა აქვს, რომ მილიონი მკითხველი ეყოლება, მან ერთი სტრიქონიც არ უნდა დასწეროს“.

საბჭოთა მწერლები მუშაობენ, ჰქმნიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს იმ სასიხარულო შეგნებით, რომ თვითეული მათი ნაუყარად, ჭკვიანურად დაწერილი წიგნი გამოიცემა და წაკითხული იქნება არა მილიონის, არამედ მრავალ მილიონობით საბჭოთა ადამიანების მიერ.

თვითეულ განვლილ წელს ჩვენი დიდი სამშობლოსათვის მოაქვს ახალ-ახალი გამარჯვებები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. თვითეული განვლილი წელი აღინიშნება თვალსაჩინო წარმატებებით როგორც საბჭოთა ხელოვნების, ისე ლიტერატურის დარგში. ეს არის იმ საერთო მძლავრი აღმავლობის გამოხატულება, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი დიადი ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმისკენ.

პერიოდი XVII დაXVIII პარტიულ ყრილობებს შორის აღსავსეა შესანიშნავი მოვლენებით ლიტერატურისა და საბჭოთა ხელოვნების დარგში. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ოქროს ფონდში მცირე რაოდენობით როდი შევიდა დიდი, ბრწყინვალე ნაწარმოებნი. საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა შოლოხოვის „წყნარი დონი“ და „გატეხილი ყამირი“, ალექსეი ტოლსტოის „პეტრე I“ და „პური“, ვ. კატაევის „თეთრი იალქანი“ და „მე, მშრომელი ხალხის შვილი“, ა. ტვარდოვსკის პოემა „მურავიას ქვეყანა“, ნ. ვირტას „მარტოობა“ და „კანონზომიერება“, პ. პავლენკოს „აღმოსავლეთში“ და მრავალი, მრავალი სხვა, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა ლიტერატურის შესანიშნავ ზრდაზე. ყოველწლიურად ჩნდებიან ახალ-ახალი ტალანტები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურას ახალი სუფცხოო წიგნებით ამდიდრებენ. იური კრიმოვი, ახალგაზრდა მწერალი, მოთხრობა „ტანკერ „დერბენტის“ ავტორი, არკადი პერვენცევი, „კოჩუბეის“ ავტორი, ა. ტვარდოვსკისთან და ს. მიხალკოვთან ერთად პოეზიაში შეიძლება მივაკუთვნოთ იმ ნიჭიერი ახალგაზრდობის რიცხვს, რომელიც, უდავოა, კიდევ ბევრს მისცემს თავის ხალხს.

საბჭოთა მწერლებმა უკანასკნელი წლების მანძილზე ლიტერატურის ყველა ჟანრში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. პოეტებმა ნ. ტიხონოვმა, ს. მარშაკმა, ლებედევ-კუმაჩმა, პ. ტიჩინამ, ბაჟანმა, რილსკიმ, ი. კუპალამ, ი. კოლასმა, ს. ჩიქოვანმა, გ. ლეონიძემ, პ. მარკიშმა და სხვებმა საბჭოთა პოეზია გაამდიდრეს მრავალი საუცხოო პოემითა და ლექსით. დრამატურგებმა და სცენარისტებმა პოგოდინმა, კორნეიჩუკმა, ტრენევმა, ვიშნევსკიმ, კაპლერმა, კოზინცევმა, ტრაუბერგმა და სხვებმა შეჰქმნეს მთელი რიგი მაღალნიჭიერი ნაწარმოებები თეატრისა და კინოსათვის. ხალხთა მეგობრობას, მათ კულტურულ ურთიერთკავშირს დიდად უწყობდა ხელს ისეთი მთარგმნელების საუცხოო მუშაობა, როგორიცაა პეტრენკო, ბაჟანი, რომლებმაც მოგვცეს დიდი რუსთაველის მხატვრული თარგმანები რუსულ და უკრაინულ ენებზე.

სსრ კავშირში იფურჩქნება ყველა ხალხთა კულტურა. შვიდმილიანი ნაბიჯებით მიდიან დიდების გზით უკრაინული, ბელორუსული, ქართული, სომხური, უზბეკური, ტაჯიკური, კაზახური ლიტერატურები... ტყუილად კი არ არის, რომ დაჯილდოებულ მწერალთა შორის ვხვდებით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალ ეროვნებათა წარმომადგენლებს.

ჩვენი ლიტერატურა საზრდოობს ცხოველმყოფელი ხალხური შემოქმედებით. საბჭოთა ხალხი აღსავსეა ღრმა პატივისცემით ზეპირი ხალხური შემოქმედების ისეთი შეუდარებელი მხატვრებისადმი, როგორიცაა ჯამბულ ჯაბაევი—კაზახი ხალხის მომღერალი, როგორიცაა რუსი მთქმელი ანნა ბარანნიკოვა, როგორიცაა ბაშკირთა სახალხო პოეტი ფარახი, როგორიც არიან მრავალნი სხვები, რომლებიც ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ოსტატებს შორის დაჯილდოებული არიან საბჭოთა მთავრობის მიერ.

საბჭოთა ქვეყანაში სიტყვისა და ყალმის მხატვრები, სოციალისტური ხელოვნების ოსტატები გარემოცული არიან საყოველთაო - სახალხო პატივისცემით, ცხოვრობენ და ჰქმნიან ღრმა ყურადღებისა და მხარდაჭერის ვითარებაში. ხოლო საზღვრის იქით, კაპიტალისტურ ქვეყნებში, მხატვარი იძულებულია თავისი შემოქმედებით ემსახუროს მმართველ კლასებს. ვინც ამაზე უარს ამბობს, ის განწირულია მწარე გაჭირვებისა და დაუნდობელი დევნისათვის. კაპიტალის ქვეყნებში, და განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ფაშიზმი, ტრაგიკულია ბედი ძალიან ბევრი მწერლის, მხატვრის, მსახიობისა, რომელთა შემოქმედება მართლად ხატავს კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხთა მძიმე ცხოვრებას.

„აქვს რა მასებზე სულიერი ზემოქმედების განსაკუთრებული შესაძლებლობანი, კინო ეხმარება მუშათა კლასს და მის პარტიას აღზარდონ მშრომელნი სოციალიზმის სულისკვეთებით, დარაზმონ მასები სოციალიზმისათვის საბრძოლველად, აამაღლონ მათი კულტურა და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა“. (სტალინი).

საბჭოთა კინოსურათების სიმარტლემ, მათმა ღრმა რეალიზმმა, მათმა ბოლშევიკურმა მიზანდასახულობამ და მგზნებარებამ საბჭოთა კინემატოგრაფიას მოუპოვეს საყოველთაო აღიარება არა მარტო ჩვენს ხალხში, არამედ სხვა ქვეყნების მშრომელებშიც.

უკანასკნელი წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო შესანიშნავი კინონაწარმოებებით. ისეთ სურათებს, როგორიცაა „ლენინი ოქტომბერში“, „დიადი განთიადი“, „ვიბორგის მხარე“, „თოფიანი კაცი“, „პეტრე I“, „ალექსანდრე ნეველი“, „გორკის ბავშვობა“ და მრავალი სხვა, შეიძლება ეწოდოს საბჭოთა კინოხელოვნების საუცხოო ნიმუშები.

საბჭოთა მწერლებისა და საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკების მაღალი ჯილდო, უეჭველია, ახალ ბიძგს მისცემს მათ შთაგონებული შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელოვნების ისეთ ნაწარმოებთა შექმნაზე, რომლებიც ჩვენი დიადი სამშობლოს, ჩვენი დიადი ხალხის შესაფერი, სტალინური ეპოქის შესაფერი იქნებიან. გაკეთებული ბევრია, მაგრამ ეს არის მხოლოდ დასაწყისი ხელოვნების იმ აყვავებისა, როგორიც სჭირდება ჩვენს დიად სამშობლოს, რომელიც მიდის კომუნიზმისაკენ.

დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელი იყოს საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა ხელოვნება! დაე შემდეგშიც სიხარულით ეწეოდნენ თავის შემოქმედებას ჩვენი მწერლები — „ადამიანის სულის ინჟინრები

შეერთიანდეს

ფაროვნდება მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს და უკრაინის კოლმეურნეთა შეჯიბრება

ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი

კამენეც-პოდოლსკის ოლქის სტარაია უშიცის რაიონის სოფელ შებუჟინცის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მიიღეთ ჩვენი კოლმეურნული, მხურვალე სალამი მზიური საქართველოდან. ურღვევი და მტკიცეა საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ხალხთა სტალინური მეგობრობა. ამ მეგობრობის საფუძველზე აზვირთდა ორი მოძმე რესპუბლიკის—უკრაინის და საქართველოს კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა მაღალი მოსავლისათვის, თავდაცვითი მუშაობის უკეთესად დაყენებისათვის, შეძლებული და კულტურული ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. როგორც ვიცით, ამ შეჯიბრების პირველი წამომწყებნი იყვნენ საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფ. შრომის და უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების კოლმეურნენი.

ჩვენ გაგვახარა იმან, რომ აყვავებული საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეთა დელეგაცია გვესტუმრა გასული წლის 11 ნოემბერს, და ინახულა ჩვენი კოლმეურნეობა. ეს სტუმრობა უბრალო, ჩვეულებრივი როდი იყო. მასში ჩაქსოვილი იყო უკრაინელ და ქართველ ხალხთა ძმური თანამშრომლობა და ღრმა სიყვარული. სტუმრებთან საუბარში ბევრი რამ ახალი გავიგეთ: სტუმრებმა გვიამბეს მათი მუშაობის შესახებ და იმაზე, თუ როგორ აქვთ მოწესრიგებული საკოლმეურნეო შრომა.

ჩვენ კარგად გვესმის სოციალისტური შეჯიბრების ძალა. ის იწვევს არა მარტო ერთეულების, არამედ მთელი მასების აღფრთოვანებას. და ამ სოცშეჯიბრების გაშლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მოვიპოვოთ ახალახალი წარმატებები და გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი, ამაში ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან ღრმად ვართ დარწმუნებულნი.

ამხანაგებო, ჩვენ, აჭარის ასსრ რესპუბლიკის ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა გულდასმით განვიხილეთ თქვენი წერილი ჩვენდამი და თანახმა ვართ ჩავებათ თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. თქვენთან ერთად პირობას ვიძლევით 1939 წელი გადავაქციოთ მაღალი მოსავლის წლად, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მივიღოთ უხვი და ბარაქიანი მოსავალი არა მარტო ერთეულ ჰექტარებიდან, არამედ მთელი მასივიდან, მოწონავეთა გამოკლებით გადავაქციოთ ყველას საკუთრებად, ერთეული სტახანოველებიდან გადავიდეთ სტახანოვურ ბრიგადებზე. დაე მთელი კოლმეურნეობა მოიცვას სტახანოვური მეთოდით მუშაობამ, ეს იქნება სოციალისტური შრომის გმირთა ნამდვილი საქმიანი პასუხი დიდი **სტალინის** მოწოდებაზე, რომ ყველა კოლმეურნე გავხადოთ შუძლებულად, ხოლო ყველა კოლმეურნეობა — ბოლშევიკურ კოლმეურნეობად.

გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გასული წლის 11 დეკემბერს გავეცანით თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიმართვას საქართველოს კოლმეურნეებისადმი. ორთაჭალელი კოლმეურნეები მოუწოდებდნენ მთელი საქართველოს კოლმეურნეებს — ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება პირველი მაისისათვის უკრაინაში გასაგზავნ კოლმეურნეთა დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. მათ მიმართვას საქართველოს მთელი რიგი კოლმეურნეობები გამოეხმაურნენ, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და, როგორც ამას „კომუნისტის“ საშუალებით ვეცნობით, ისინი საქმით იბრძვიან ამ უფლების მოპოვებისათვის. ჩვენ, ამხანაგებო, ვიბრძვით იმისათვის, რომ არ ჩამოვრჩეთ საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებს და მოვიპოვოთ უფლება, რათა ჩვენი კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები გამოვგზავნოთ თქვენთან, აყვავებული უკრაინის ხალხთა საპირველმაისო დღესასწაულზე. დარწმუნებული იყავით იმაში, რომ ამ უფლებას მოვიპოვებთ.

და არა მარტო ამ უფლებას: მიმდინარე წლის 16 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობათა მიმართვა — სოციალისტური შეჯიბრების გაშლაზე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. ჩვენ ვებმებით ამ შეჯიბრებაში და მოგიწოდებთ თქვენც, ამხანაგებო, სანიმუშოდ მოემზადოთ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევათა გრანდიოზული დათვალიერების დღისათვის. მივაღწიოთ იმას, რომ ამ საქმეშიაც გამარჯვებული გამოვიდეთ, და როდესაც ჩვენი კოლმეურნეები ერთმანეთს შეხვდებიან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ურთიერთს გაუზიარონ შთაბეჭდილებანი მიღწეულ წარმატებათა შესახებ.

დარწმუნებული ვართ, თქვენთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გაგაცნოთ, თუ რა შედეგებს მივაღწიეთ 1938 წელს.

ჩვენი კოლმეურნეობის გასული წლის შემოსავალმა 501.109 მანეთს მიაღწია (1937 წელს კი მივიღეთ 326.015 მანეთი).

კარგად გამოიყურება ჩვენი ციტრუსების პლანტაციები. გასული წლის მოსავლიდან ქვეყანას მივეცით 457.415 ცალი მანდარინი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 416.777 ცალისა, ლიმონი 41.199 ცალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30.212 ცალისა, ფორთოხალი 23.250 ცალი, ნაცვლად 17.811-ისა, ჩაი 44.186 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 41.000 კილოგრამისა.

მიმდინარე წელს კიდევ უფრო უხვ მოსავალს მოველით ციტრუსებისაგან, მით უმეტეს, რომ ბევრი ახლად გაშენებული პლანტაცია წელს პირველად მოგვცემს მოსავალს.

გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავლიანობაც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 მანეთისა და 90 კაპიკისა, გასულ წელს შრომადღეზე გავეცით 9 მანეთი და 25 კაპ. 1939 წელს კი ჩვენი ვარაუდით შრომადღეს მოუწევს არანაკლებ 15 მანეთისა. კოლმეურნეობის თვითეული წევრის შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთის შემოსავლის ჩათვლით საშუალოდ 15.000 მანეთს უდრის, ზოგიერთისა კი 25.000 მანეთს აჭარბებს. კოლმეურნენი იძენენ ძვირფას ნივთებს: ნიკელის საწოლებს, შიფონერებს, პატეფონებს, აშენებენ ქვიტკირის ახალ სახლებს, კულტურულად აწყობენ ოჯახებს.

გაჭარა სიღარიბე და უმეცრება. ჩვენი კოლმეურნეობის წევრი მამუდ ქიბაროღლი, რომელიც წინათ მოჯამაგირე და ღატაკი იყო, ახლა შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. ის 1932 წელს შემოვიდა კოლმეურნეობაში, სახლი არ ჰქონდა და კარი, არ იცოდა წერა-კითხვა, სოფელში ჩამორჩენილ კაცად ითვლებოდა. საკოლმეურნეო შრომამ იგი ბედნიერი და საამური ცხოვრების გზაზე დააყენა. ის ახლა უკვე მოწინავე სტახანოველი და შეძლებული კოლმეურნეა. შეისწავლა წერა-კითხვა, დაწინაურებულია ციტრუსების სანერგის გამგედ, მასზე მიმაგრებულია 190.000-მდე ცალი ნერგი. ქიბაროღლიმ აიშენა სახლი, საკარმიდამო ნაკვეთზე გააშენა ციტრუსები. 1938 წელს გამოიმუშავა 487 შრომადღე. მარტო ფულად მიიღო 5.000 მანეთამდე. ახლა ამხ. ქიბაროღლი მოწინავე ადამიანია.

წარსულში ღარიბი გლეხი, შაქირ კარიმანის-ძე ბერიძე ახლა შეძლებული კოლმეურნეა. მან აიშენა ოთხ-ოთახიანი ახალი სახლი და კულტურულად მოაწყო საოჯახო ნივთებით. მისი შვილები ყველანი სწავლობენ დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში. ის საბჭოს აქტიური წევრია, კოლმეურნეობაში აეტორიტეტით სარგებლობს და სტახანოვური მეთოდით მუშაობის მაგალითებს იძლევა.

ასევე ბედნიერად და საამურად ცხოვრობთ ჩვენ ყველანი, აჭარელი კოლმეურნენი, მთელი ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხთან ერთად. ეს საამური და ბედნიერი ცხოვრება ჩვენ მოგვანიჭა მშრომელთა მოამაგემ, ხალხთა საყვარელმა ბელადმა დიდმა **სტალინმა.** მისი მამობრივი მზრუნველობით გამთბარნი შეძლებულად, საამურად ვცხოვრობთ, ვეწევით მშვიდობიან, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებულ შრომას.

დიდად აღგვაფრთოვანა ყველანი ცნობამ პარტიის XVIII ყრილობის მოწვევის შესახებ. თვალსაჩინოდ იზრდება კოლმეურნეთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. პარტიის ყრილობისათვის საუკეთესო საჩუქარი იქნება ჩაისა და ციტრუსების სამუშაოებისა და საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება. ყველა ზომას მივიღებთ იმისათვის, რომ პარტიის ყრილობას ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შევხვდეთ.

მაშ ასე, ამხანაგებო! ჩვენ თანახმა ვართ თქვენს გამოწვევაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში კიდევ უფრო მაღალი სტალინური მოსავლისათვის, კიდევ უფრო მეტი დოვლათისათვის! შეძლებული და კულტურული ცხოვრების უფრო მეტად აყვავებისათვის! ვიქონიოთ ერთმანეთთან მტკიცე და საქმიანი მიმოწერა, მოუთმენლად ველით თქვენს პიროებებს სოციალისტური შეჯიბრებისათვის.

ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების დაევალებით: **მუსტაფა ბერიძე** (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **მუხერე კილაძე** (პარტორგი), **სულეიმან ბასილაძე** (ბრიგადირი, ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), **მამუდ ქიბაროღლი** (სტახანოველი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი), სტახანოველი კოლმეურნეები: **იბრაჰიმ ბერიძე, ომერ ასანიძე, მსხალ ჯიჯნარაძე, ხასან ლაზოღლი, სეფერ მემიშოღლი, რამიზ ტაკიძე, სულეიმან ბერიძე, დურსუნ ბერიძე, ემინე ჯიჯავაძე** და **ახმედ ჩიჯავაძე.**

მწერალთა საერთო-საქალაქო მიტინგები

მოსკოვი

საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის განვითარების საქმეში დიდი წარმატებებისა და მილწევებისათვის საბჭოთა მწერლების დაჯილდოებასთან დაკავშირებით, 2 თებერვალს შესდგა მოსკოვის მწერალთა მიტინგი. მიტინგი გაიხსნა ამხ. ფადეევის შესავალი სიტყვით, რომელმაც სთქვა:

— საბჭოთა ლიტერატურა მაღალი ჯილდოს ღირსი გახდა. ჩვენი ლიტერატურა შეიქნა მოწინავე, იგი მრავალნაციონალური და ინტერნაციონალურია. ამას ნათლად ჰმოწმობს ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ, რომელშიც აღნიშნული არიან მწერლები-ბუოიატები, ჩაჩნები, კარელები, ბაშკირები, ბელორუსები, ქართველები, უკრაინელები და სხვა ეროვნებათა მწერლები. დაჯილდოებულთა შორის არიან იმ ეროვნებათა აშუღები, აკინები და მთქმელები, რომელთაც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე თავიანთი დამწერლობა არ გააჩნდათ.

მიტინგის მონაწილეებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს ამხანაგ **სტალინისადმი** გასაგზავნი წერილის ტექსტი. (საკდესი).

ლენინგრადი

ლენინგრადი, 2 თებერვალი (საკდესი). გუშინ მაიაკოვსკის სახელობის მწერალთა სახლში შესდგა ლენინგრადელ მწერალთა საერთო-საქალაქო მიტინგი. მიტინგი გახსნა ამხ. ნ. ტიხონოვმა. სიტყვები წარმოსთქვეს ი. ტინიანოვმა, ნ. ვირტამ, ი. გერმანმა, მ. სლონიმსკიმ, ა. სობოლევმა, ა. პროკოფიევმა და სხვებმა.

ყველა ორატორმა მხურვალე მადლობა გამოუცხადა პარტიას და მთავრობას ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებისადმი განსაკუთრებული ყურადღებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს დეპეშა ამხანაგ **სტალინს.**

ᲓᲠᲝᲐ ᲨᲔᲕᲣᲓᲒᲔᲗ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ

1940 წლის 21 ივლისს სრულდება 100 წელი ჩვენი დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან. ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღია ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. 50 წელზე მეტს სდარაჯობდა აკაკი ქართველი ხალხის კულტურას, იცავდა მშობელი ხალხის ღირსებას, მის მდიდარ ისტორიას, ენას, ამხნევებდა თავისი ქნარით სამშობლოს და უფლიდებდა მას უკეთესი მომავლის რწმენას. პოეტს ღრმად სწამდა, რომ

„მოვესწრები რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა“.

მადლიერი ქართველი ხალხი ღირსეულად აფასებს აკაკი წერეთელს. სიხარულით მიიღო პოეტის მდიდარი მემკვიდრეობა საბჭოთა ხალხმა, რომელიც ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე ხორცს ასხამს მსოფლიოს „ისტორიისა და ლიტერატურის უკეთესი ადამიანების ბრწყინვალე იმედებს“ („პრავდა“).

ამ თარიღისათვის ახლავე უნდა გავშალოთ მზადება. მისი აღნიშვნის ერთერთ აუცილებელ პირობად აკაკის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა უნდა იქნეს მიჩნეული. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში თითქმის არ არის პერიოდული გამოცემა, რომელშიაც გაფანტული არ იყოს აკაკის ნიჭის მარგალიტები. ბევრი ლექსი და წერილი ჯერ კიდევ შეუგროვებელია და კერძო ოჯახებში ინახება. მეორე მხრივ პოეტის ყველა გამოქვეყნებული მასალებიც არ არის თავმოყრილი და ერთად გამოცემული.

პოეტის სიცოცხლეში მისი თხზულებების მხოლოდ მცირე ნაწილი დაიბეჭდა. საბჭოთა პერიოდში იგი რამდენჯერმე გამოიცა—ერთტომეულის (სახელგამი 1935 წ.), რეულნაწერთა ოთხტომეულის (1928 წ.) სახით. მაგრამ ეს გამოცემები საკმარისი სრულებითაც არ არის. 1940 წლისათვის აუცილებლად უნდა მოეწყოს ჩვენი ჩინებული კლასიკოსის ნაწარმოებთა მთლიანი გამოცემა. სპეციალისტების აზრით — ეს დაახლოებით 10 ტომამდე დაიჭერს. აკაკის დიდი ღვაწლი ქართველი ხალხის და მისი კულტურის მიმართ მოითხოვს, რომ მის უკვდავ ხსოვნას სტალინური ეპოქის ბედნიერმა ხალხმა სათანადო ძეგლი დაუდგას თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის სახითაც.

ამავე დროს ხელი უნდა მოვკიდოთ დიდებული პოეტის ძეცნიერულად დამუშავებული ბიოგრაფიის შედგენას.

დრამა მწერალთა კავშირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საგამომცემლო ორგანიზაციები შეუდგნენ დიდი პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის მზადებას.

ვ. იმედაძე

თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის კომუნისტური ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. ი. ლეგაშვილი და კოლმეურნეები ფ. ი. და ი. ი. თუშიშვილები ამოწმებენ შესაწამლავი თესლის ხარისხს.

საქდესის ფოტოქრონიკა

აკაკი წერეთელი რუსეთის მე-5 არქეოლოგიურ ყრილობაზე

1881 წლის სექტემბერში თბილისში მოწვეული იყო რუსეთის მე-5 არქეოლოგიური ყრილობა, რომლის საქმიანობაში მრავალი გამოჩენილი მსოფლიო მეცნიერი ღებულობდა მონაწილეობას. აქ იყვნენ: პროფ. ვირხოვი (დასავლეთ ევროპიდან), აკად. გრუტე, პროფ. კოსტომაროვი, პროფ. ცვეტაევი, პროფ. ანუჩინი, პროფ. ხვოლსონი, პროფ. ილოვაისკი, პროფ. უვაროვი, პროფ. ა. ცაგარელი, პროფ. ჩუბინაშვილი, ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგი და კარტოგრაფი ნ. წილოსანი და სხვ.

თბილისის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება დიდ ყურადღებას და ინტერესს იჩენდა ამ ყრილობისადმი, რომელმაც 10 დღეზე მეტს გასტანა. 20 სექტემბერს ყრილობის წევრებს კავკასიის მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა ლ. მელიქიშვილმა გაუმართა სადილი, რომელზედაც საქართველოს უხუცესმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა *) წარმოსთქვა სიტყვა თბილისში გამართული არქეოლოგიური ყრილობის მნიშვნელობის შესახებ, ხოლო 21 სექტემბერს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ აკაკი წერეთლის მეთაურობით ყრილობის წევრებს გამოსათხოვარი მხატვრული საღამო და ვახშამი მოუწყო. ამ საღამომ, ეტყობა, ისეთი დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ყრილობის ყველა დელეგატებზე და განსაკუთრებით კი მის ხელმძღვანელებზე, რომ ამ ფაქტის აღწერას დიდი ადგილი დაეთმო ყრილობის „შრომებში“, რომელიც ერთ დიდ ტომად გამოიცა მოსკოვში. მოგვყავს ზოგიერთი მეტად დამახასიათებელი და ღირსშესანიშნავი ადგილი ამ აღწერიდან.

„ორშაბათს 21 სექტემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა გახსნა თავისი სეზონი პირველი წარმოდგენით, რომელიც მე-5 არქეოლოგიური ყრილობის წევრებს მიეძღვნა.

საქ. თეატრალურმა კომიტეტმა განკარგულება გასცა, რათა ისეთი პიესები დადგათ, რომელნიც თავისი შინაარსით და სასცენო დადგმითაც გააცნობდნენ სტუმრებს - მეცნიერებს ქართველი ერის ცხოვრებას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს; სდგამდნენ რაფ. ერისთავის ორიგინალურ ვოდევილს „ბიძასთან გამოზუმრება“ და თითოაქტს ცნობილი დრამატურგის ა. ცაგარლის დრამიდან „მათიკო“ და კომედიიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ამ სამ აქტში პიესის ავტორებმა აწერეს ქართველების წოდებრივი ურთიერთობანი, ზნეჩვეულებანი და ადათები, დაწყებული განცხრომაში მყოფ კახელ თავადიშვილიდან, გათავებული მთიელამდე — ხევსურამდე და იმერელ ლაქიამდე“.

...თეატრალურ კომიტეტს სტუმრებისათვის უჩვენებია ლეკური, რომელშიაც მონაწილეობდა 7-8 კაცი. ყველაფერი გამართული სპექტაკლის დროს ანტრაქტებში გაისმოდა ხოლმე დაირისა და ზურნის ხმა და ეროვნული სიმღერები. კახეთიდან მოწვეული ყოფილან საუკეთესო მოცეკვავენი — ტიტიკო ვახვახიშვილი და სხვ., რომლებმაც ისეთი დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს მაყურებლებზე, რომ ცნობილმა მეცნიერმა ვირხოვმაც კი ტაშისცემით და ძახილით ცეკვის განმეორება მოითხოვა (ეს ფაქტი აკაკი წერეთელს აღწერილი აქვს თავის მოთხრობაში „მოგზაურობა კახეთში“).

„დივერტისმენტში სცენიდან — ვკითხულობთ „შრომებში“ — წაკითხულ იქნა მისასალმებელი ლექსები, ექსპრომტად დაწერილი აკაკი წერეთლის მიერ. მშვენიერად გადმოცემულმა და განსაკუთრებული გრძნობით წაკითხულმა პოეტის ლექსმა დიდ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრენი. აკაკი წერეთლის შემდეგ ყრილობას მიესალმა დ. გ. ერისთავი **), მაგრამ უკვე სტუმრებისათვის გასაგებ რუსულ ენაზე; დადგა რა ავანსცენაზე, დ. ერისთავმა თავისი მეღერი ხმით და მთელი თბილისისათვის ცნობილი გამომეტყველებით წაიკითხა ტხორჟევსკის მიერ დაწერილი მშვენიერი ლექსი...

Привет вам, гости дорогие,
От всей души привет!
На наше прошлое пришли вы
Пролить науки свет.
Издавна Грузия с врагами
Вела кровавый бой —
За независимость, за веру
И за язык родной!
Здесь наши предки умирали,
Чтоб Грузия жила,
Чтоб там, где кровь лилась потоком,
Наука расцвела!
И вот свершается отныне
Прадедовский завет,
Примите-ж, светочи науки,
От Грузии привет!
Давно уж русские поэты
Прославили Кавказ,
Они с любовью описали
Наш милый край и нас.
Воспели Лермонтов и Пушкин
Печальный наш напев,
И холмы Грузии, и нивы,
И наших стройных дев,
И небо вечно голубое,
И южной неги рай.
Их мощный гений обессмертил
Наш отдаленный край.
Теперь-же, гости дорогие,
Друзей нашли мы в вас!
Вы благосклонно посетили
Далекий наш Кавказ.
Вы миру вести понесете
Про древнюю страну,
Лучем познанья озаряя
Седую старину.
И с тем лучем заря науки
Взойдет у нас в глуши...
Вам за почин ваш просвещенный
Спасибо от души!

ეს ლექსი „შრომებში“ აღნიშნულია როგორც ტხორჟევსკის ლექსი. ნამდვილად კი ის უნდა წარმოადგენდეს აკაკის ლექსის თარგმანს, რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ ლექსში მხატვრულად გამოთქმულია ის მოსაზრებები, რომელიც პოეტს თავის მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღენიშნავს. ტხორჟევსკი კი უმთავრესად ცნობილი იყო როგორც მთარგმნელი და ასეთი ხასიათის ლექსი არ შეეძლო მას დაეწერა. სამწუხაროდ, აკაკის ხელნაწერებშიც არ არის ჯერ ჯერობით აღმოჩენილი ლექსის დედანი.



„ამ ლექსმა დიდი ეფექტი და ერთსულოვანი ტაში გამოიწვია, — ვკითხულობთ „შრომებში“.—წარმოდგენის შემდეგ სტუმრები მიწვეულ იქნენ თეატრალურ ბაღში — მშვენივრად, ყვავილებით მოკაზმულ და სპარსული ხალიჩებით მორთულ ბუფეტში. იქ მათთვის ვახშამი იყო გაშლილი. ვახშმის დროს წამოდგა აკაკი წერეთელი და საღამოს მომწყობთა სახელით მიმართა სტუმრებს — ყრილობის წევრებს შემდეგი სიტყვით, რომელიც მან რუსულად წარმოსთქვა:

„მოწყალეო ხელმწიფენო. საქართველოს ისტორიაში, აგრეთვე მის ზღაპრებსა და თქმულებებში ჩვენ ვპოულობთ რაღაც საერთოს საქართველოს ბედსა და კავკასიის კლდეებზე მიჯაჭვულ პრომეთეოსის ბედს შორის, იმ პრომეთეოსისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ცნობილია, როგორც ამირანი. ვით პრომეთეოსს ძერები, ისე ძველ დროიდან დაწყებული ბარბაროსთა უამრავი ბრბოები ანადგურებდნენ, ჭამდნენ და ჭყოფდნენ საქართველოს. მაგრამ მან, როგორც ხედავთ, განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა გამოიჩინა და თავის არსებობა შეინარჩუნა, ვიტყვი გმირთა თქმულების სიტყვებით, „არა როგორც ასთავიანმა გველეშაპმა, არამედ ვით ფენიქსმა, რომელიც ცეცხლისა და ფერფლისაგან განახლებული გამოდის ახალი ცხოვრებისათვის.“ საქართველოს წარსულის შესახებ მომავალი გვეტყვის მეტს, ვიდრე აწმყო. ეჭვს გარეშეა, რომ მრავალტანჯული კავკასიის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი უძველესი და მაღალკულტურული ხალხის — ქართველთა ცხოვრებაში დიდი ყურადღების ღირსი პერიოდია. მათ შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო კავკასიის და საქართველოს ისტორიისა, არამედ მთელი აღმოსავლეთის ისტორიისათვის. მისი ნაშთები და დამამტკიცებელი საბუთები დღესდღეობით ჩამარხულია ნანგრევების ქვეშ და ბნელით არის გადახურული. თქვენ, ბატონო მეცნიერნო, ჩამოსულხართ შორეული ქვეყნებიდან იმისათვის, რომ გამოიყენონო ისინი ამ ნანგრევებიდან და მიუნათოთ მათ მეცნიერების შუქი. დიდია თქვენი დამსახურება, უსაზღვროა ჩვენი მადლობა, მაგრამ ამით არ განისაზღვრება თქვენი ღვაწლი და დამსახურება. თქვენ პირველად მიეცით მაგალითი სხვებს, რომ მათ შეისწავლონ ჩვენი აწმყო იმავე სიყვარულით, როგორითაც თქვენ გსურთ ჩვენი წარსული შეისწავლოთ. მართალი მოგახსენოთ, ამას საჭიროებს ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი და თითქმის სრულიად გამოუკვლეველი კავკასია. ამის მაგალითი თვალწინ გვაქვს. ცნობილმა მეცნიერმა-ორიენტალისტმა *), რომელიც მშვენივრად იცნობს აზიას, მის ყველა კუთხეს და იმასაც — სად, რა ადგილას, როგორი ქვა დევს და რა წარწერა აქვს მას გაკეთებული, და რომელიც ახლახანს გვიმტკიცებდა, რომ მე-5 საუკუნეში გარდაცვლებულს და მცხეთაში დამარხულს ებრაელს სახელად ერქვა იუდა გურკი და არა ბურკი, არ იკის საქართველო სად მდებარეობს და თბილისში სომხების სიძველეთა ძეგლებს ეძებს. ამით, რასაკვირველია, არ მინდა ვუსაყვედურო სწავლულს ან სხვა ვინმეს, არამედ მომყავს ეს მაგალითი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ.

მოგესალმებით ორმაგი მადლობით, თქვენი ორმაგი დამსახურებისათვის. გისურვებთ საერთოდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში და, კერძოდ, თითოეულს თქვენგანს კეთილ მგზავრობას“.

ივ. არჯევანიძე.

*) აკაკის მხედველობაში ჰყავს პროფ. ხვოლსონი, რომელმაც მცხეთაში დამარხული იუდა გურკის შესახებ მოხსენება გააკეთა აღნიშნულ ყრილობაზე.

*) გრ. ორბელიანის სიტყვა „შრომებში“ გამოქვეყნებული არ არის.

**) დ. გ. ერისთავი—პოეტი - დრამატურგი. გ. ერისთავის შვილი, კარგი დეკლამატორი.

შ. სამხარაძე
ი. კუპრაძე
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორები

როგორ ანხორციელებენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების გამოქვეყნებიდან გასულმა დრომ ნათლად დაგვანახვა ამ დადგენილების უდიდესი მნიშვნელობა და საჭიროება. იგი გახდა ჩვენი მუშაობის გაშლილი, სამოქმედო პროგრამა პარტიული პროპაგანდის დარგში.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების განხორციელებისათვის, მაგრამ ამ მხრივ მაინც ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ თავის 1939 წლის 24 იანვრის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 14 ნოემბრის დადგენილების რეალიზაცია გურჯაანის, ტყიბულის და ზუგდიდის რაიონებში. ნაცვლად იმისა, რომ რაიონულ კომიტეტებს მოეწყოთ ამ მნიშვნელოვანი დადგენილების ღრმა და საფუძვლიანი განხილვა, ისინი მოელოდნენ კიდევ რაღაც „განმარტებებს“ ზევიდან.

გურჯაანის რაიონის ყანდაურის სასოფლო საბჭოს საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციას (პარტკომის მდივანი — ტერტეროვი) სრულიად არ განუხილავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება. რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ფარაჯაევმა ამ ორგანიზაციის კრებაზე, ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განმარტებლად, დააყენა საკითხი იმის შესახებ თუ ვის სურდა წრეებში მეცადინეობა.

გურჯაანის რაიონში რომ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილების ვაცნობისადმი მიძღვნილ კრებებს ამხანაგების მცირე რაოდენობა ესწრებოდა. მაგალითად, ტყიბულის რაიონულ აქტივს დაესწრო 91 კაცი. ეს იმასაც მოწმობს, რომ რაიონის აქტივის კრება სათანადოდ არ იყო მომზადებული, რაიკომმა ვერ უზრუნველჰყო პარტიული და უპარტიო ბოლშევიკიული ლექციებისათვის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გაცნობა.

ზოგან ვერ გაითვალისწინეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარი მეთოდია წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, რომ წრეებში მონაწილეობა მხოლოდდამხოლოდ ნებაყოფლობით საქმეს წარმოადგენს. ტყიბულის რაიკომმა სავალდებულოდ გაუხადა განცხადებების შემოტანა იმ ამხანაგებს, რომლებმაც წრეებში მეცადინეობის სურვილი გამოაცხადეს, ხოლო ზუგდიდის რაიონის ჩაის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის პარტკომის მდივანმა ამბ. ივანიამ პარტისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებს ხელმოწერით დაადასტურებინა, რომ ისინი ნამდვილად იმუშავებენ დამოუკიდებლად და შეისწავლიან პარტიის ისტორიას. ცხადია, ეს არის საკითხის აშკარა დამახინჯება, პარტიული დირექტივის არასწორად გაგება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ „პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეები ისე უნდა ყალიბდებოდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი მონაწილეების საერთო განათლებისა და პოლიტიკური მომზადების ცოტად თუ ბევრად ერთგვარი დონე“, ტყიბულის რაიკომმა სწორად ვერ გაიგო. მაგალითად, ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებთან საშუალო რგოლის წრის დაკომპლექტებისას მასში ჩარიცხეს წერაკითხვის უცოდინარი და მცირე-მცოდნე ამხანაგები: გვენეტაძე, არსენიძე, კახიძე, კუპატაძე და სხვ. ცხადია, ასეთი განურჩეველი მიდგომა წრეებში ამხანაგების ჩარიცხვისას სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

გურჯაანისა და ზუგდიდის რაიონულ კომიტეტებს ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ წრეები იმ ამხანაგებისათვის, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი წრეებში მეცადინეობისა. გურჯაანის რაიონული კომიტეტი მხოლოდ ინტელიგენციის საარაონო შეკრებითა და დადგენილებების საზეიმო მოწონებით დაკმაყოფილდა. ტყიბულის და ზუგდიდის რაიონულმა კომი

გამოხმაურება საზღვარგარეთ ამხ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებზე

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). ამერიკის პრესა ფართოდ აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც ეხება თეზისებს ამხანაგ ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, — „ცვლილებანი საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში". იუნაიტედ პრესის სააგენტოს დაწვრილებით მოჰყავს ეს თეზისები. ჩიკაგოს გაზეთმა „დეილი ნიუსმა" გამოაქვეყნა ცნობა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისების შესახებ სათაურით — „საბჭოთა კავშირმა დასახა უდიდესი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც 1942 წლისათვის შეცვლის ქვეყნის სახეს".

გაზეთი „დეილი უორკერი", ეხება რა ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებს, სწერს: „თეზისები გვიჩვენებენ სოციალიზმის განუწყვეტელი ზრდის დეტალებს. საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობას შეუძლია გულდამშვიდებით და იმედიანად უცქიროს მომავალს". „მოლოტოვს, — განაგრძობს გაზეთი, — შეუძლია ვამოვიდეს პროდუქციის გამოშვების უაღრესად გადიდების, მხმარების ზრდისა და მშრომელთა საარსებო და კულტურული დონის ამაღლების ასეთი პროგრამით, რადგან სსრ კავშირში მოსპობილია კაპიტალისტური ექსპლოატაცია".

ინგლისი

ლონდონი, 2 თებერვალი (საკდესი). ინგლისის გაზეთების უმრავლესობა ათავსებს თავის მოსკოველ კორესპონდენტთა ცნობებს ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების შესახებ. გაზეთ „მანჩესტერ გარდიენის" კორესპონდენტი თავის ცნობაში აღნიშნავს, რომ მუშებისა, გლეხებისა და ინტელიგენციისათვის საერთო საკანდიდატო სტატიის შემოღება, რაც გათვალისწინებულია თეზისებში, შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელიც შეექმნა სსრ კავშირში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად.

ლატვია

რიგა, 2 თებერვალი (საკდესი). ლატვიაში ყველაზე გავრცელებული გაზეთი „იაუნაკას ზინიასი" სათაურით: „მეორე ბაქო სსრ კავშირში" აქვეყნებს ცნობას ვოლგასა და ურალს შუა ნავთის მრეწველობის განვითარების შესახებ. ამავე დროს გაზეთს დაწვრილებით მოჰყავს თეზისები ამხ. ჟდანოვის მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

○

პარიზი, 2 თებერვალი (საკდესი). „ევრმა" დღეს გამოაქვეყნა მოკლე შინაარსი ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებისა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ჩინეთი

ჩუნცინი, 2 თებერვალი (საკდესი). ყველა ჩინურმა გაზეთმა, რომლებიც ჩუნცინში გამოდის, გამოაქვეყნა თეზისები ამხანაგ მოლოტოვის მოხსენებისა მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ჩუნცინის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში ახალი ხუთწლედის ციფრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ყველაზე უფრო გავლენიანი გაზეთი „დაგუნბაო" მოწინავე სტატიაში სწერს: „სსრ კავშირი შეუდგა მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. იგი სწრაფი განვითარების გზით მიდის, რის მეოხებითაც საბჭოთა კავშირი გადაიქცა მშვიდობიანობის მძლავრ დასაყრდენად მთელს მსოფლიოში".

გაზეთი „სინხუაჟიბაო" სწერს: „საბჭოთა კავშირმა კომუნისტური პარტიისა და ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულა პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმა და მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას შეუდგა. ამხანაგი მოლოტოვის მოხსენების თეზისები გვიჩვენებენ, თუ როგორ მიდის თანდათან ეს ქვეყანა კომუნიზმისაკენ. საბჭოთა კავშირი, სტალინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების გარემოცვისა, ეჭვს გარეშეა, შეასრულებს ამ დიად მისიას. მესამე ხუთწლიანი გეგმა კიდევ უფრო გაადიდებს საბჭოთა კავშირის ძლიერებას და თავდაცვისუნარიანობას. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისათვის, მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და იმ ანტიფაშისტური ბრძოლის გაძლიერებისათვის, რომელსაც მსოფლიოს მშრომელი მასები და პროგრესიული ხალხები ეწევიან. ჩვენ მივესალმებით მესამე ხუთწლიან გეგმას და ვისურვებთ კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის".

უმცროს მეთაურთა სკოლის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, განაყოფის უფროსი ი. ფ. ტიურინი კურსანტებს აუწავლის ხელყუმბარის ტყორცნას (ციმბირის სამხედრო ოლქი).

საკდესის ფოტოქრონიკა

ესპანეთის კორტესების სხდომა

პარიზი, 2 თებერვალი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ფიგერასიდან ატყობინებენ, რომ გუშინ იქ შესდგა ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) სხდომა.

კორტესების თავმჯდომარე ბარიო მიესალმა დეპუტატებს და აღნიშნა, რომ, რაც უნდა მძიმე პირობები იყოს, კორტესები ყველგან შეიკრიბებიან, „კლდეზედაც კი, ოღონდ ესპანეთისა იყოს ეს კლდე".

შემდეგ სიტყვა ეძლევა მთავრობის მეთაურს ნეგრინს. ნეგრინმა ანალიზი გაუკეთა იმ ამბებს, რომლებიც ეს-ეს არის გადაეხდა კატალონიას. აღნიშნა რა მდგომარეობის სიმწვავე, ნეგრინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რესპუბლიკურ ესპანეთში ყველგან სრული წესრიგია. „ბარსელონიიან გასვლა მოსახლეობისა, რომელმაც არ მოისურვა დამორჩილებოდა ინტერვენტთა ხელისუფლებას, საუკეთესო პლებისციტია, რომელიც მთელს მსოფლიოს უჩვენებს ჩვენი ბრძოლის დედაარსს",—განაცხადა ნეგრინმა.

„ჩვენმა მებრძოლებმა, — განაგრძო ნეგრინმა,—გადაიტანეს განუწყვეტელი 50 დღის ბრძოლა. ისინი გაფფრებით იბრძოდნენ. მათ სძლევდა მოწინააღმდეგის გაცილებით უფრო ძლიერი სამხედრო ტექნიკა. ბევრი რესპუბლიკელი ჯარისკაცი იძულებული იყო ელოდნა სანგრებში, თუ როდის დაეცემოდა რომელიმე მისი ამხანაგი, რათა ხელში აეღო მისი იარაღი. ასეთ პირობებს ყველაზე მაგარი ნერვებიც კი ვერ აიტანს. მსოფლიოში ცოტაა ისეთი არმია, რომელსაც შეეძლოს ისეთი გმირობა და შეუპოვრობა გამოიჩინოს ბრძოლაში, როგორიც ჩვენმა ჯარისკაცებმა გამოიჩინეს ამ 50 დღის განმავლობაში".

მთავრობის მეთაურმა მოაგონა, რომ რესპუბლიკის არმიამ ებრძოლა დაიწყო შეტევა იმისათვის, რომ მდგომარეობა შეემსუბუქებინა რესპუბლიკის ჯარისათვის ლევანტის ფრონტზე და გადაერჩინა ვალენსია. ამ იერიშების მიზანი მიღწეულია, მაგრამ თვით კატალონიის არმია ამასთან დაკავშირებით შესუსტებული აღმოჩნდა შეიარაღების მხრივ.

„მაგრამ ამჟამად,—სთქვა ნეგრინმა,—ჩვენ უკვე მოგვეპოება იარაღი, რომელიც ნაწილობრივ რესპუბლიკის ცენტრალური და სამხრეთ ზონიდან გადმოგზავნეს. ეს იარაღი დიდი დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ საქმეს ჯერ კიდევ ეშველება. ასე თუ ისე, ჩვენ ახლა ძალა შეგვწევს იმისათვის, რომ შევაჩეროთ მოწინააღმდეგე კატალონიის ფრონტზე. ჩვენი ჯარი გაათკეცებული სიმამაცით იბრძვის. საჭიროა მოწინააღმდეგის შეჩერება კატალონიაში. ჩვენ ამას შევასრულებთ. ესპანელი ხალხი გამარჯვებას მიაღწევს. ჩვენი ხალხი საკუთარი თავისუფლებისათვის და ამავე დროს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მომავლისათვის იბრძვის. ესპანელი ხალხი ფაშისტური რეჟიმისაგან იცავს იმ ქვეყნების ინტერესებსაც კი, რომლებიც ჩვენს ბრძოლას აბრკოლებენ".

პარლამენტმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიაც ნაზგასმით აღნიშნულია, რომ ესპანელ ხალხს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე იბრძოლოს თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

გერმანიის პრესის გალაშქრება

ბერლინი, 2 თებერვალი (საკდესი). სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებთან გამართულ თათბირზე რუზველტის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან დახმარება აღმოუჩინონ საფრანგეთსა და ინგლისს „რომი-ბერლინი-ტოკიოს ღერძის" სახელმწიფოთა წინააღმდეგო, ძალიან გააღიზიანა გერმანიის ფაშისტური პრესა. ყველა გაზეთი, ალბათ ზემოდან მიცემული მითითებით, აქვეყნებს სტატიებს, რომლებშიც მკაცრი ფორმით ილაშქრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და პერსონალურად რუზველტის წინააღმდეგ. ცალკეული გაზეთები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ რუზველტი თავისი განცხადებით გამოვიდა ჰიტლერის მიერ რაიხსტაგში სიტყვის წარმოთქმისთანავე.

იზოლიაციონისტების გამოსვლა რუზველტის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი (საკდესი). სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის წევრებთან რუზველტის თათბირის გამო კონგრესის წევრებს შორის დიდი უთანხმოება წარმოიშვა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. როგორც უკვე იუწყებოდნენ, ამ თათბირზე რუზველტმა გამოსთქვა აზრი, რომ დახმარება უნდა გაეწიოს ინგლისსა და საფრანგეთს, და მოითხოვა თვითმფრინავებისა და სხვა შეიარაღების შეუზღუდავად მიყიდვა ამ ქვეყნებისათვის.

რუზველტის ამ განცხადების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს იზოლიაციონისტებმა და ზოგიერთმა რესპუბლიკელმა. იზოლიაციონისტმა სენატორებმა კლარკმა, ჯონსონმა და ნაიმ სენატში მკვახე სიტყვები წარმოსთქვეს რუზველტის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ სენატორებს მიაჩნიათ, რომ რუზველტის პოლიტიკა იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმას უცხო სახელმწიფოებთან ომში და ამით თითქოს საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობიან არსებობას. მათ მოითხოვეს, რომ მთავრობამ დაწვრილებითი ცნობები მიაწოდოს კონგრესს საფრანგეთისათვის სამხედრო თვითმფრინავების მიყიდვის შესახებ.

საფრანგეთის საზოგადოებრიობა მიესალმება რუზველტის განცხადებას

პარიზი, 2 თებერვალი (საკდესი). რუზველტის განცხადებას ამერიკის სენატის სამხედრო კომისიის დახურულ სხდომაზე კმაყოფილებით შეეგებნენ საფრანგეთის საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო წრეები. ეს წრეები ჰფიქრობენ, მთლად ზუსტიც რომ არ იყოს რუზველტის განცხადების ის ფორმულირება, რომელიც ამერიკის პრესას მოჰყავს: „ევროპის ომის შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარი საფრანგეთში გაივლისო", — იგი მაინც სრულებით ასახავს რუზველტის, მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შეხედულებებსო. რუზველტის გამოსვლას პარიზის საზოგადოებრივი წრეები აფასებენ როგორც სერიოზულ გაფრთხილებას ფაშისტ აგრესორების — ომის გამჩაღებლების მისამართით.

მუშათა პრესა მოითხოვს, რათა საფრანგეთის დიპლომატები აღმოჩნდნენ იმ შესაძლებლობათა სიმაღლეზე, რომლებიც ისახებიან რუზველტის გამოსვლით, და თავისი პოზიციით არ შეარცხვინონ ა. შ. შტატები.

ბრძოლა კანტონის ირგვლივ

უკანასკნელ დღეებში დაიწყო ძლიერი ბრძოლა კანტონის ირგვლივ. კანტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარის ერთეულები აწარმოებენ შეტევას კანტონ-კოულუნის რკინიგზაზე, რომელიც დაკავებული აქვთ იაპონელებს; ჩინელები ცდილობენ მოსწყვიტონ კანტონი სანაპიროს. ამ გზის სამხრეთ უბანზე ჩინელები უტევენ ხუანძიანის რაიონში და უკან ახევინებენ იაპონელებს დასავლეთის მიმართულებით. გზის ჩრდილოეთ უბანზე ჩინელები იბრძვიან ციტანის სადგურთან.

პაკხოის მახლობლად სდგას იაპონიის 19 გემი. იაპონიის 6 გემი იმყოფება ხაინანის კუნძულის მახლობლად (საკდესი).

ბიბლიოგრაფია

„ქართული ზღაპრები" რუსულ ენაზე

თარგმნილი **ნინო დოლიძის** მიერ, მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ (მოსკოვი) გამოსცა ნ. დოლიძის მიერ თარგმნილი ქართული ზღაპრების კრებული. წიგნი მშვენივრად არის გაფორმებული. კრებულში მოთავსებულია 89 ზღაპარი. წიგნს დართული აქვს შენიშვნები და ბიბლიოგრაფია.

ქართული ზღაპრების რუსული თარგმანის გამოცემა უთუოდ სასიხარულო მოვლენაა. ეს პირველი ცდაა მიეცეს არაქართველ მკითხველს ქართული ზღაპრების კრებული, რომელიც არა მარტო სასიამოვნო საკითხავი წიგნია, არამედ დიდად საჭიროცაა მკვლევარისათვის. არაქართველ მკვლევარს აქამდე არ შეეძლო ესარგებლნა ფანტაზიით მდიდარი ქართული ზღაპრით.

თარგმანი კარგად არის შესრულებული. წიგნი ადვილად იკითხება, მთარგმნელს მოხერხებულად გამოუყენებია რუსული საზღაპრო ენის თავისებურებანი და ამავე დროს დაუცავს ქართული ზღაპრის სპეციფიკურობაც.

კარგად არის გადატანილი რუსულად გადაუთარგმნელი სიტყვათა თამაში; მაგალითად, „ახ, რა კაი წყალი ხარო" — აქედან ნაწარმოებია ეშმაკის სახელი „ახრაკაი". რუსული „Ах как хорошо"-დან მთარგმნელს უწარმოებია ეშმაკის სახელი — „Ахкахар" (ზღაპარი „ოსტატისა და ზაგირდისა"). აქ გვაქვს სრული დამთხვევა აზრისა და ბგერითი შემადგენლობისა. მხატვრული ხერხია აგრეთვე ის, რომ ზღაპარში „Комбле" დატოვებულია ქართული სიტყვა "Комбал", მაშინ, როდესაც არსებობს ამ ცნების გამომხატველი რუსული სიტყვა.

შეიძლება პირველი შეხედვით გაუგებარი იყოს ასეთი ფაქტი: ერთ ზღაპარში ქალის სახელი „მზეხათუნ" მოცემულია სამნაირად: „Мзехатун", „Солнце-дева" და "Солнце-хатун", ეს მხატვრული ხერხი, ჩვენი აზრით, გამართლებულია, რადგან არაქართველთათვის ძნელად გამოსათქმელი სიტყვა მოცემული ქართული ტრანსკრიპციით, თარგმანით და შერეულად — „Солнце-хатун", „Солнце-дева" — აადვილებს ზღაპრის გმირის სახელის შეთვისებას.

საერთოდ ზღაპრების თარგმანი კარგია, დედანს არ სცილდება და დიდი სიფაქიზით არის დაცული ხალხური ენა. კრებულში უბადო არის მოცემული სოციალურად დატვირთული ზღაპრები, რომლებშიც უფრო მკაფიოდ მეღავნდება მშრომელი ხალხის გონებრივი თვისებების უპირატესობა მღვდლებსა, ვაჭრებსა და მეფის მოხელეებთან შედარებით, უფრო მკაფიოდ მოსჩანს ხალხის ენობრივ საშუალებათა სიმდიდრე.

კრებულის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი მეტად ღარიბია კომენტარიებით.

ქართული ზღაპრების კრებული რუსულად კარგი და საჭირო წამოწყებაა. საბჭოთა კავშირის ხალხები სიამოვნებით გაეცნობიან ქართველი ხალხის უმდიდრეს ფოლკლორს.

ვ. ნათაძე

„ჩვენი საყვირის" 10 წელი

2 თებერვალს პლეხანოვის სახელობის კლუბში შეიკრიბნენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველები, ინჟინერ - ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რომ აღენიშნათ ბელადის სახელობის ქარხნის მრავალტირაჟიანი ორდღიური ნაბეჭდი გაზეთის „ჩვენი საყვირის" არსებობის 10 წლისთავი.

საზეიმო სხდომა გახსნა პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ამხ. გ. იაკობიძემ. გაზეთის 10 წლის მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა „ჩვენი საყვირის" რედაქტორმა ამხ. ნეფარიძემ.

იუბილარს გულმხურვალედ მიესალმნენ ქარხნის სტახანოველები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, თბილისის მრავალტირაჟიანი და რკინიგზის ტრანსპორტის გაზეთების წარმომადგენლები და სხვ.

სტალინის სახელობის ქარხნის მმართველობის მიერ დაჯილდოებულ „ჩვენი საყვირის" საუკეთესო მუშკორთა და რედაქციის მუშაკთა სია გამოაქვეყნა ქარხანის თავმჯდომარემ ამხ. გ. კაზაზიშვილმა.

საზეიმო სხდომის დასასრულს პლეხანოვის კლუბთან არსებული თვითმმქმედი წრეების მონაწილეობით გაიმართა საინტერესო მხატვრული განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 107 სრული საშუალო სკოლა. მე-3 კლასის მოწაფე, სწავლის ფრიადოსანი გ. ქურდიანი უპასუხებს გაკვეთილს.

საკდესის ფოტოქრონიკა

საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მაშკოვსკი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, ორდენოსანი მაიორი ამხ. მაშკოვსკი. ამხ. მაშკოვსკი თბილისში ჩამოვიდა პარაშუტის ოსტატთა საკავშირო შეკრებაზე, რომელიც საქართველოში ტარდება.

○

2 თებერვალს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომკავშირის კომიტეტისა და სპორტულ საზოგადოება „მეცნიერებას" ინიციატივით მოეწყო სტუდენტთა შეხვედრა ამხ. მაშკოვსკისთან, რომელზეც განიხილეს საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდება — „მოვუმზადოთ სამშობლოს ათასობით თავდაცვითი საჩუქრები".

საღამოს დაესწრნენ აგრეთვე წითელი არმიის საშეფო ნაწილის წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალ. შელიძე და სხვ.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ორდენოსანმა დ. იოსელიანმა, რომელმაც წაიკითხა საბჭოთა კავშირის გმირების მოწოდება დედა-სამშობლოსათვის ათასობით თავდაცვითი საჩუქრების მომზადების შესახებ.

თავდაცვითი საქმის ამოცანების შესახებ ილაპარაკა უნივერსიტეტის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. კასრაძემ. თავდაცვითი საქმის შემდგომი გაჯანსაღების მიზნით უნივერსიტეტის სტუდენტობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სამედიცინო, საოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ინსტიტუტების თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

წითელი არმიის საშეფო ნაწილიდან სიტყვით გამოვიდა წითელარმიელი ამხ. შ. განუსი, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტიდან ამხ. დ. მაისაძე და სხვ.

უნივერსიტეტის სტუდენტობას მხურვალედ მიესალმა ამხ. მაშკოვსკი. საბჭოთა კავშირის გმირის ტრიბუნაზე გამოჩენას ხალხმრავალი დარბაზი ტაშის გრიალითა და უსაზღვრო ოვაციებით შეხვდა. ორდენოსანმა დ. იოსელიანმა ამხ. მაშკოვსკის მიართვა თაიგული და უსურვა ახალი წარმატებები ავიაციის დარგში.

ამხ. მაშკოვსკიმ თავის საინტერესო სიტყვაში ვრცლად ილაპარაკა პაპანინელების გმირული ექსპედიციის მუშაობის შესახებ არქტიკის ყინულებში და ამ მუშაობის შედეგების უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობაზე, ხასანის ტბასთან მომზდარ ამბებზე და სხვ. მაშკოვსკიმ მოუწოდა სტუდენტობას ღრმად დაეუფლონ თავდაცვითს საქმეს და ამით ძვირფასი საჩუქრები მოუმზადონ დედა-სამშობლოს.

დასასრულ ნაჩვენები იქნა მხატვრული და სპორტულ - ფიზკულტურული პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა და მოწვეულმა ძალებმა.

თბილისი. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სახელობის მე-56 სრული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოწაფეები (მარცხნიდან) მ. შახნაზაროვი, ტ. ბელოუსოვა, ი. კიკნაძე, რომლებმაც აიღეს ვალდებულება საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გახსნისათვის ჩაებარონ ნორმები სამ თავდაცვითს ნიშანზე.

საკდესის ფოტოქრონიკა

პოეტ გიორგი ლეონიძის ლექსების კრებული

„ფედერაციამ" გამოსცა პოეტ **გიორგი ლეონიძის** ლექსების კრებული. წიგნი ლამაზად არის გაფორმებული, შეიცავს 208 გვერდს და ღირს 8 მან. 30 კაპ.

სპორტი 1939 წელს

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა 1939 წლის სასპორტო კალენდარი. კალენდარი შედგენილია ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სასპორტო კალენდარის მიხედვით, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი I და II სიფეხურის „მზშთ" ნიშნისათვის მომზადებას. მიმდინარე წელს საკავშირო კომიტეტის კალენდარში შეტანილია სპორტის ახალი სახეები: საწყალ-მოტორული, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბილიარდი და სხვ. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საპალიერო და სასროლო სპორტის უფრო განვითარება.

საქართველოს სასპორტო კალენდარი მეტად მრავალფეროვანია. გათვალისწინებულია საწარმო, სასკოლო, სასპორტო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კოლექტივების შეჯიბრება საქალაქო და რესპუბლიკურ პირველობაზე ფეხბურთში, ტანვარჯიშობაში, კალათბურთსა და ფრენბურთში, ჩოგბურთში, თხილამურებში. მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, საწყალგომარდო სპორტში.

წითელი არმიისა და საზღვრო-საზღვაო ფლოტის XXI და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყოს ფიზკულტურელთა მასობრივი გამოსვლები. მასობრივი პარადები აღინიშნება სტალინური კონსტიტუციის, საპირველმისო და საოქტომბრო დღესასწაულები.

თავდაცვითი მნიშვნელობის სპორტის სახეების უფრო განვითარებისათვის მოეწყობა ამ სპორტის სახეების პოპულარიზაცია. მოეწყობა „მზშთ" ნიშანზე პირველი და მეორე საფეხურის ნორმების მასობრივი ჩაბარება.

მაისში მოეწყობა საქართველოს ფიზკულტურელთა მეორე პარადი. ივლისში საქართველოს ფიზკულტურელები მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურელთა საკავშირო პარადში, მოსკოვში.

მიმდინარე წელს „სსრკ თასისა" და სსრკ პირველობის გათამაშებასთან ერთად ფეხბურთელთა გუნდები ჩაატარებენ ოერთმეტი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეჯიბრებას რესპუბლიკების პირველობაზე.

სასპორტო კალენდარში გათვალისწინებულია აგრეთვე სპორტის მსაჯთა და მწვრთნელთა შეკრებები.

ღ. კეცხოველის სახელობის პარეპროპაგანდის სახლი

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

4/II	წარმოდგენა 109 **ფოლადური**
5/II	წარმოდგენა 110 **უდანამაულოდ დამნაშავენი**
6/II	დღისით მე-2 ან. 5 წარმოდგენა **თოფიანი ქალი** დასაწყ. დღის 12 ს.

სალარო ღია დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე დასაწყისი საღამოს 8 ს.

თბილისის ზ. ვ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

4/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 89 აბ. სერ. № 7 **პიკის ქალი**
5/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 90 **ქეთო და კოტე**
6/II	მუდმ. ადგ. ტალ. № 91 **აიდა**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

4/II	**ნაპერწკლიდან**
5/II	**შერი**
6/II	დღისით **კოლმეურნის ქორწინება** დასაწყ. დღის 12 ს.

სალარო ღია დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე დასაწყისი საღამოს 8 ს.

სახსირკი ტელ. 3-11-44 **დღეს**

ახალი საატრაქციონო პროგრამა **პირველი გამოსვლები**

ოსტატი მსახიობებისა **ვოლინიცკებისა** (ეკვილიბრ.), მსახიობ **ზასტავნიკოვისა** (ბუფ. ანტრე), მსახიობ **რუბანოვებისა** (აკრ. ექსცენტრ.) **პირველი გამოსვლა** დიდი ატრაქციონისა

ალი-ვად (მსახ. ვადიმოვი) ასისტენტებით.

ილუზიონური ცდების **დემონსტრატორები.**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. სალარო 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი

საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი

1939 წლის 4 თებერვალს, თბილისში, ელბაქიძის დალმართზე № 1

ხსნის

ფირმის სანიმუშო სახაშეს

აზიური და კავკასიური საჭმელის უოველნაირი ასორტიმენტით.

ყოველთვის საშუალოზე მაღალი და საშუალო სიმსუქნის **ახალი** დაკლული საქონლის **ახალი ხაში.**

ყოველდღიურად ღორის კუპატი და ცივი და ცხელი საუზმეების მრავალფეროვანი მენიუ.

521 **დირექცია.**

ექიმთა საყურადღებოდ

საქ. სსრ ჯანსახკომის ფარმაქიმმრეწვის ფარმაკო-ქიმიური ქარხანა

(ქ. თბილისი, კამოს ქ. 78, ტელ. 3-41-69)

გამოუშვა ახალი პრეპარატები:

1. **დიგალენ-ნეო** გულის მოქმედების რეგულირებისათვის,
2. **ელარგოლ** (ვერცხლის კოლოიდური ხსნარი), რომელსაც იყენებენ სეპსისების დროს.

პრეპარატების წარმოება დაყენებულია საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ.

დიგალენ-ნეო თავისი თერაპიული მოქმედებით ისეთივეა, როგორც საზღვარგარეთული პრეპარატი **დიგალენი**, ხოლო **ელარგოლი**—როგორც საზღვარგარეთული **ელექტრარგოლი.**

პრეპარატების გამოშვება ნებადართულია საქ. სსრ ჯანსახკომის სამედიცინო საბჭოს მიერ 3—1 512

გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია ა. წ. 4 თებერვალს იწვევს ძირეული პრესის მუშაკთა და მუშკორთა აქტივის

საქალაქო შეკრებას

შემდეგი დღის წესრიგით: ძირეული პრესისა და მუშკორთა ამოცანები საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით (მომხსენებელი ამხ. ვ. ხატიაშვილი).

შეკრებაზე დასასწრებლად მოწვეულნი არიან მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი და კედლის გაზეთების რედაქტორები, რედკოლეგიის წევრები და მუშკორთა აქტივი.

შეკრება გაიხსნება საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის კლუბში (კომინტერნის ქუჩა № 5).

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — **რუსთაველის პროსპექტი № 34** ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მბ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მბ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები აგტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული Д—1485.